2018-2021 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის 2020 წლის განხორციელების წლიური კონსოლიდირებული ანგარიში

რეგიონული და მთის განვითარების დეპარტამენტი
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

2021

სარჩევი

შესავალი....4

2020 წელს პროგრამის ფინანსური შესრულების მოკლე მიმოხილვა....6

ნაწილი I: პრიორიტეტებით გათვალისწინებული ღონისძიების მიხედვით მიღწეული პროგრესის ანალიზი....9

პრიორიტეტი 1. ქვეყნისა და მისი რეგიონების კონკურენტუნარიანობის და მდგრადი განვითარების ხელშემწყობი ძირითადი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.... 9

ღონისძიება 1.1 საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების გაუმჯობესება.... 9

ღონისძიება 1.2. სხვა (საავტომობილო გზების გარდა) სტრატეგიული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება.... 11

აქტივობა 1.2.3 აეროპორტის ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის, დამატებითი ინფრასტრუქტურის მოწყობა 13

ღონისძიება 1.3. მაღალსიჩქარიანი ინტერნეტ-ინფრასტრუქტურის განვითარება.... 13

ღონისძიება 1.4. ენერგო-ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და განახლებადი ენერგიის წყაროების პოტენციალის გაფართოვება.... 16

ღონისძიება 1.5. ბუნებრივი კატასტროფებისგან დამცავი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.... 17

ღონისძიება 1.6 წყალმომარაგების, წყალარინებისა და მყარი ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურის განვითარება.... 25

ღონისძიება 1.7 კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და პოპულარიზაცია 28

ღონისძიება 1.8. ბუნებრივი მემკვიდრეობის (ეროვნული პარკები, ნაკრძალები და სხვა კატეგორიის დაცული ტერიტორიები) შენარჩუნება და პოპულარიზაცია 29

პრიორიტეტი 2: მცირე და საშუალო საწარმოების, ეკონომიკის ზრდაზე ორიენტირებული სექტორებისა და ექსპორტის მხარდაჭერა.... 31

ღონისძიება 2.1 საწარმოების, მათ შორის, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების მხარდაჭერა.... 31

ღონისძიება 2.2 ინოვაციების ხელშეწყობა.... 34

ღონისძიება 2.3 სტრატეგიული სექტორების მხარდაჭერა: ტურიზმი 37

ღონისძიება 2.4. სტრატეგიული სექტორების მხარდაჭერა: სოფლის მეურნეობა.... 41

ღონისძიება 2.5. ექსპორტის ხელშეწყობა.... 45

ღონისძიება 2.6 ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა.... 46

პრიორიტეტი 3: ადამიანური კაპიტალის განვითარება.... 48

ღონისძიება 3.1 ზოგადი განათლების ხარისხის ამაღლება.... 48

ღონისძიება 3.2 პროფესიული განათლების სისტემის გაუმჯობესება.... 50

ღონისძიება 3.3 უმაღლესი განათლების სისტემის ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაზრდა 52

ღონისძიება 3.4 კვლევითი სექტორის მხარდაჭერა 53

ღონისძიება 3.5. შრომის ბაზრის ხელმისაწვდომობის გაზრდა 54

ღონისძიება 3.6 მოწყვლადი ჯგუფების ინტეგრაციის ხელშეწყობა 58

ღონისძიება 3.7 სოციალური ინკლუზია 59

პრიორიტეტი 4: ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა და კონკრეტული ტერიტორიების მხარდაჭერა, მათი ენდოგენური განვითარების საფუძველზე 60

ღონისძიება 4.1 რეგიონული განვითარების სტრატეგიის განხორციელების ხელშეწყობა: მცირე ზომის ტექნიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება 60

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი 61

ღონისძიება 4.2: სოფლის განვითარება 61

ღონისძიება 4.3: მაღალმთიანი რეგიონების განვითარება 61

ღონისძიება 4.4 ანაკლიის პორტის მიმდებარე ტერიტორიების განვითარების ხელშეწყობა 63

პრიორიტეტი 5. რეგიონული განვითარების ინსტიტუციების ხარისხისა და ეფექტიანობის ზრდა, რეგიონული განვითარების პროგრამის მომზადება საპილოტე რეგიონებისთვის 64

ნაწილი II: მიღწეული შედეგების ანალიზი 68

ნაწილი III: ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები 73

შესავალი

2018 წლის 11 ივნისს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა „საქართველოს 2018-2021 წლების რეგიონული განვითარების პროგრამა“ (რგპ). პროგრამა წარმოადგენს საშუალოვადიან სამთავრობო დოკუმენტს, რომელიც 2018-2021 წლების პერიოდში საქართველოს რეგიონული განვითარების პოლიტიკის ძირითად მიზნებს, ამოცანებს, შესაბამის პრიორიტეტებსა და ღონისძიებებს განსაზღვრავს.

პროგრამა უზრუნველყოფს თანმიმდევრულ ჩარჩოს იმ საჯარო და კერძო ინვესტიციებისათვის, რომლებიც ხელს უწყობენ რეგიონულ განვითარებას, ყველა დაინტერესებულ მხარეს აძლევს საშუალებას მოახდინოს რესურსების კონცენტრირება და ახდენენ კოორდინაციას რეგიონულ დონეზე ერთიანი, საერთო სტრატეგიის მიხედვით, რათა მიღწეულ იქნას ინტერვენციის მაქსიმალური ეფექტიანობა.

პროგრამა ასახავს ღონისძიებებს, რომელთაც მკაფიო ტერიტორიული გავლენა ექნებათ რეგიონულ განვითარებაზე. პროგრამა განსაზღვრავს ღონისძიებების დაფინანსების, როგორც საბიუჯეტო, ასევე ბიუჯეტის გარეთ (მაგ. საერთაშორისო დონორებისა და განვითარების პარტნიორების მიერ დაფინანსებით) მიღებული რესურსების წყაროებს.

პროგრამის **საერთო მიზანია** ხელი შეუწყოს ქვეყნისა და მისი რეგიონების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, დაბალანსებულ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, რეგიონული უთანასწორობის შემცირებასა და ტერიტორიულ განვითარებას. საერთო მიზანი მიიღწევა **3 კონკრეტული მიზნის მიღწევით**

1. **სწრაფი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა** საერთაშორისო კონტექსტში საქართველოს შედარებითი უპირატესობების სისტემური გამოყენების გზით.
2. ინფრასტრუქტურის, ენერგო და საკომუნიკაციო ქსელებისა და კომუნალური სერვისების **მდგრადი განვითარება**, რეაბილიტაცია და გაფართოვება უსაფრთხო გზებით.
3. **სოციალური და ტერიტორიული უთანაბრობების დაძლევის ხელშეწყობა** - თანაბარი შესაძლებლობების შექმნა ყველა მოქალაქისათვის.

ამ მიზნების განხორციელებისათვის, პროგრამა იყენებს სტრუქტურას, რომელიც ეფუძნება **5 პრიორიტეტს,** ესენია:

1. ქვეყნისა და მისი რეგიონების კონკურენტუნარიანობისა და მდგრადი განვითარების ხელშემწყობი ძირითადი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
2. მცირე და საშუალო საწარმოების, ზრდაზე ორიენტირებული ეკონომიკის სექტორებისა და ექსპორტის ხელშეწყობის მხარდაჭერა;
3. ადამიანური კაპიტალის განვითარების ხელშეწყობა;
4. ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა და კონკრეტული ტერიტორიების მხარდაჭერა, მათი ენდოგენური განვითარების საფუძველზე;

5. რეგიონული განვითარების ინსტიტუციების ხარისხისა და ეფექტიანობის გაზრდა, საპილოტე რეგიონული განვითარების პროგრამების მომზადება.

აღნიშნული პრიორიტეტიბი მოიცავენ **ინტეგრირებულ ტერიტორიულ საინვესტიციო ღონისძიებებს,** რომლებიც მიმართულნი უნდა იყვნენ, ერთის მხრივ, სხვადასხვა ტერიტორიების განსხვავებული საჭიროებების ეფექტიანი დაკმაყოფილებისაკენ, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ტერიტორიების სპეციფიური შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენებისაკენ. ეს მიღწეულ უნდა იყოს რეგიონული განვითარების პროგრამების მეშვეობით, რომლებიც აერთიანებენ როგორც სხვადასხვა სექტორებს, ისე სხვადასხვა ტერიტორიების არსებულ რესურსებსა და ძალისხმევას.

2018-2021 რეგიონული განვითარების პროგრამის (რგპ) განხორციელების 2020 წლის მონიტორინგის ანგარიში მომზადდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონული და მთის განვითარების დეპარტამენტის მიერ, შესაბამისი დეპარტამენტების, დარგობრივი სამინისტროებისა და საქვეუწყებო დაწესებულებების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

2020 წლის რგპ მონიტორინგის წლიური კონსოლიდირებული ანგარიში მოიცავს ინფორმაციას ღონისძიებების განხორციელების პროგრესისა და მიღწეული შედეგების შესახებ.

მონიტორინგის ანგარიშის სტრუქტურა შემდეგია: პირველ ნაწილში წარმოდგენილია რგპ-ს განხორციელების ფიზიკური და ფინანსური პროგრესის შეჯამება თითოეულ ღონისძიებასთან მიმართებით, ხოლო მეორე ნაწილში - მიღწეული შედეგების ანალიზი. მესამე ნაწილში დოკუმენტი წარმოადგენს ინფრომაციას გამოვლენილ ხარვეზებთან და რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

2020 წელს COVID 19 პანდემიის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე

2020 წელს დაწყებულმა COVID-19-ის პანდემიამ უპრეცედენტო მასშტაბის გლობალური ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია, რაც, უპირველესად, საერთაშორისო მიმოსვლისა და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური საქმიანობების შემცირებაში გამოიხატა. პანდემიის ფონზე შექმნილი ვითარება მცირე ეკონომიკის მქონე, ტურიზმზე დამოკიდებული ქვეყნებისათვის, მ.შ. საქართველოსთვის, განსაკუთრებით კრიტიკული აღმოჩნდა.

COVID 19-ის პანდემიის საქართველოს ეკონომიკაზე უარყოფითი ზეგავლენა 2020 წლის თებერვლიდან დაიწყო. მარტში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისა და საზღვრების ჩაკეტვის შედეგად, საქართველოში უცხოელი ვიზიტორების შემოსვლა და ტურიზმიდან მისაღები შემოსავლები ფაქტობრივად შეჩერდა. შედეგად, თუ 2019 წელს, გარე ტურიზმის წილი მშპ- ში 12 % იყო, 2020 წელს ეს მაჩვენებელი 2 %-მდე შემცირდა. აღნიშნულმა უარყოფითი გავლენა რეალური მშპ-

ს ზრდაზეც იქონია. მთლიანობაში, 2020 წელს რეალური მშპ 6.2 პროცენტით შემცირდა.

2020 წელს ეკონომიკურ დარგებში, რომლებშიც უცხოელი ვიზიტორები მონაწილეობდნენ, მნიშვნელოვანი კლება დაფიქსირდა. განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფისა და საკვების მიწოდების დარგის რეალური ზრდა -37.9 პროცენტი იყო, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობების რეალური ზრდა -0.1 პროცენტი იყო; ტრანსპორტის კი -22.3 პროცენტი. რეალური მშპ-ს 6.2 პროცენტიან კლებაში -3.0 პროცენტული პუნქტი აღნიშნული დარგების კლების წილია.

პანდემიის უარყოფითი ზეგავლენა ტურიზმთან დაკავშირებული მომსახურების სხვადასხვა დარგებში უმუშევრობის ზრდაშიც გამოვლინდა. ჯამურად, 2020 წელს უმუშევრობის დონე 3.8 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 20.4 %-ს მიაღწია.

კრიზისი შედარებით ნაკლებად შეეხო ინდუსტრიულ დარგებს და სოფლის მეურნეობას. პანდემიის მიუხედავად, აქტიურად მიმდინარეობდა ინფრასტრუქტურული პროექტები. სწორედ ინფრასტრუქტურული პროექტების ხარჯზე პირდაპირი ინვესტიციების დონე მხოლოდ 2.1 %-ით შემცირდა 2020 წელს. აქტივობა შენარჩუნდა დამამუშავებელ მრეწველობაში, სადაც მაღალია ექსპორტზე ორიენტირებულ საწარმოთა რიცხვი. სოფლის მეურნეობაში კი, 13%-იანი მატება დაფიქსირდა

2020 წელს პროგრამის ფინანსური შესრულების მოკლე მიმოხილვა



2020 წელს მნიშვნელოვნადაა გაზრდილი პროგრამის **1 პრიორიტეტზე** - „ქვეყნისა და მისი რეგიონების კონკურენტუნარიანობის და მდგრადი განვითარების ხელშემწყობი ძირითადი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება“-ზე გაწეული ხაჯრები. ვინაიდან შეზღუდვების მიუხედავად, ქვეყანაში არ გაჩერებულა მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, პროგრამის ამ პრიორიტეტზე სულ 2020 წელს დაიხარჯა 3 მლრდ ლარზე მეტი (63% პროგრამის მთლიანი ხარჯიდან). აქედან E60 და E70 საერთაშორისო სატრანსპორტო კორიდორებისა და სხვა ჩქაროსნული ავტომაგისტრალების განვითარებაზე

გაწეულმა ხარჯებმა 1,6 მლრდ ლარი შეადგინა, ხოლო საავტომობილო გზების გარდა, სხვა სტრატეგიული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე დაიხარჯა 767 მლ ლარი. ეს მაჩვენებელი მიუხედავათ პანდემიის შედეგად შემოღებული რეგულაციებისა ბევრად უფრო მეტია, ვიდრე 2018-2019 წლებში.

პროგრამის **მე-2 პრიორიტეტის** ფარგლებში, რომელიც მიმართულია მცირე და საშუალო საწარმოების, ეკონომიკის ზრდაზე ორიენტირებული სექტორებისა და ექსპორტის მხარდაჭერის ამოცანების განხორციელებაზე, გაუქმდა ის ღონისძიებები, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ ხალხმრავალ შეხვედრებთან და საზღვარგარეთ მოგზაურებებთან. ამავე დროს, ზოგიერთი ღონისძიების გადატანა მოხდა ონლაინ ფორმატში. საბოლოო ჯამში, 2020 წელს ამ პრიორიტეტზე გაწეული ხარჯები აღემატებოდა პროგრამის წინა წლების ხარჯებს და 275 მლნ ლარი შეადგინა რაც სამიზნე მაჩვენებლის 97%-ია.

პანდემიის შედეგად 2020 წელს რგპ-ს **მე-3 პრიორიტეტის** „ადამიანური კაპიტალის განვითარება“ განხორციელების ხარჯები შემდიცრა წინა წლებთან შედარებით. ამ პრიორიტეტის ფარგლებში ჩასატარებელი ტრენინგების უმეტესობა გადატანილი იყო ონლაინ რეჟიმზე, რამაც შეამცირა ხარჯები. ზოგიერთი ღონისძიება საერთოდ გაუქმდა. თუმცა გაგრძელდა საგანმანათლებლო სისტემაში ინფრასტრუქტურული სამუშაოები. ამ პრიორიტეტის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების შესრულება პანდემიის შედეგად შემოღებული რეგულაციებიდან გამომდინარე დაზარალდა ყველაზე მეტად, თუმცა შემცირებული მაჩვენებელი ნაწილობრივად გამოწვეულია განსახორციელებელი ღონისძიებების ონლაინ რეჟიმში გადატანიდან გამომდინარე შემცირებული ხარჯების გამო. ჯამში მე-3 პრიორიტეტის ფარგლებში დაიხარჯა დაახლოებით ერთი მილიარდი ლარი, რაც სამიზნე მაჩვენებლის 78%-ია.

2020 წელს **მე-4 პრიორიტეტის** „ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა და კონკრეტული ტერიტორიების მხარდაჭერა, მათი ენდოგენური განვითარების საფუძველზე“ შესრულების შედეგად, პანდემიის მიუხედავად, უფრო მეტი პროექტი განხორციელდა ვიდრე წინა წლებში. განხორციელებული პროექტების რიცხვმა 1059 შეადგინა. შესაბამისად, წინა წლებთან შედარებით, გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსება 360 მილიონ ლარამდე.
2020 წელს 2019 წელთან შედარებით, მუნიციპალილური განვითარების ფონდის ფარგლებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების რაოდენობა გაზრდილი იყო ყველა რეგიონში. გარდა ამისა, მე-4 პრიორიტეტის ფარგლებში, მუნიციპალური განვითარების ფონდის (მგფ) ფარგლებში ხორციელდებოდა რეგიონებში მცირე ინფრასტრუქტურული პროექტები და ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები. სულ მგფ-ს ფარგლებში პროექტების განხორციელებაზე დაიხარჯა 15 მლნ ლარი.



რეგიონების ჭრილში, პროგრამის ფარგლებში ყველაზე დიდი ხარჯები გაწეული იყო იმერთსა და შიდა ქართლში, რაც დაკავშირეულია მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებასთან, კერძოდ E60-70 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობასთან.



პრიორიტეტების, ღონისძიებებისა და ქვე-ღონისძიებების მიხედვით, განხორციელებული სამუშაოების, მიღწეული მყისიერი შედეგებისა და გაწეული ხარჯების დეტალური აღწერა მოყვანილია ამ ანგარიშის პირველ ნაწილიში.

ნაწილი I: პრიორიტეტებით გათვალისწინებული ღონისძიების მიხედვით მიღწეული პროგრესის ანალიზი

პრიორიტეტი 1. ქვეყნისა და მისი რეგიონების კონკურენტუნარიანობის და მდგრადი განვითარების ხელშემწყობი ძირითადი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

<u>ღონისძიება 1.1 საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების გაუმჯობესება</u>

2020 წელს ხელშეკრულებები გაფორმდა 297 პროექტზე, რომელთაგანაც, ამავე წელს, სამუშაოები დასრულდა 148 პროექტზე.

ჩქაროსნული გზატკეცილის მშენებლობის პროექტების ფარლგებში, 2020 წელს სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობდა 130 კმ-ზე და 14 მონაკვეთზე ვეყნის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილში.

2020 წელს რეაბილიტაცია და პერიოდული შეკეთების სამუშაოები ჩაუტარდა 601.2 კმ საავტომობილო გზას, და 20 ხიდს, აშენდა 15 ახალი საავტომობილო ხიდი. გზებისა და ხელოვნური ნაგებობების რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის ათვისებულმა თანხამ შეადგინა 421.2 მლნ. ლარი

2020 წელს საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვა) სამუშაოებისათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 71,3 მლნ. ლარი გამოიყო და ამდენივე დაიხარჯა.

მიმდინარე შეკეთების (მათ შორის ზამთრის შენახვის) სამუშაოები ტარდებოდა საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის 6000კმ-მდე საავტომობილო გზაზე, ტენდერში გამარჯვებული კონტრაქტორი ორგანიზაციების მიერ.

2020 წელს ნაპირსამაგრი სამუშაოები მიმდინარეობდა 34 ობიექტზე. აქედან, 26 ობიექტზე სამუშაოები დასრულდა. ნაპირდაცვითი ღონისძიებების სამუშაოებისათვის ათვისებულმა თანხამ შეადგინა 13,4 მლნ. ლარი

2020 წელს განხორციელებული სამუშაოები რეგიონულ ჭრილში შემდეგნაირად გამოიყურება:

- აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეაბილიტაცია - პერიოდული შეკეთების სამუშაოები განხორციელდა 8,5 კმ საავტომობილო გზების სხვადასხვა მონაკვეთებზე.
- გურიის რეგიონში რეაბილიტაცია-პერიოდული შეკეთების სამუშაოები განხორციელდა 57,2 კმ საავტომობილო გზების სხვადასხვა მონაკვეთებზე. დასრულდა 4 ნაპირსამაგრი პროექტი;

- იმერეთის რეგიონში რეაბილიტაცია-პერიოდული შეკეთების სამუშაოები განხორციელდა 56,8 კმ საავტომობილო გზების სხვადასხვა მონაკვეთებზე. დასრულდა 4 ნაპირსამაგრი პროექტი;
- კახეთის რეგიონში რეაბილიტაცია-პერიოდული შეკეთების სამუშაოები განხორციელდა 74,9 კმ საავტომობილო გზების სხვადასხვა მონაკვეთებზე. დასრულდა 1 ნაპირსამაგრი პროექტი და 1 სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები;
- რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში რეაბილიტაცია-პერიოდული შეკეთების სამუშაოები განხორციელდა 75 კმ. საავტომობილო გზების სხვადასხვა მონაკვეთებზე. დასრულდა 5 ნაპირსამაგრი პროექტი და 3 სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები;
- სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში რეაბილიტაცია-პერიოდული შეკეთების სამუშაოები განხორციელდა 100,2 კმ საავტომობილო გზების სხვადასხვა მონაკვეთებზე. დასრულდა 9 ნაპირსამაგრი პროექტი და 1 სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები;
- სამცხე-ჯავახეთის რეგიონში რეაბილიტაცია-პერიოდული შეკეთების სამუშაოები განხორციელდა 59,2 კმ საავტომობილო გზების სხვადასხვა მონაკვეთებზე;
- ქვემო ქართლის რეგიონში რეაბილიტაცია-პერიოდული შეკეთების სამუშაოები განხორციელდა 58,7 კმ საავტომობილო გზების სხვადასხვა მონაკვეთებზე. დასრულდა 2 ნაპირსამაგრი პროექტი;
- შიდა ქართლის რეგიონში რეაბილიტაცია-პერიოდული შეკეთების სამუშაოები განხორციელდა 25,7 კმ საავტომობილო გზების სხვადასხვა მონაკვეთებზე. დასრულდა 1 ნაპირსამაგრი პროექტი და 1 სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები;
- მცხეთა-მთიანეთის რეგიონში რეაბილიტაცია-პერიოდული შეკეთების სამუშაოები განხორციელდა 84,9 კმ საავტომობილო გზების სხვადასხვა მონაკვეთებზე.

მყისიერი შედეგების მაჩვენებლები

მყისიერი შედეგების ინდიკატორი		**2020**	
	საზომი ერთეული	**სამიზნე მაჩვენებელი**	**შედეგი**
აშენებული საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის	კმ	30	32

საავტომობილო გზების სიგრძე			
საავტომობილო გზებზე განხორციელებული სარეაბილიტაციო და პერიოდული შეკეთების სამუშაოები	კმ	350	601.2
რეაბილიტირებული და აშენებული ხიდების რაოდენობა	რაოდენობა	40	35

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა	საბიუჯეტო კოდი	2020 წელი		
		სამიზნე მაჩვენებელი (ათასი ლარი)	ფაქტობრივი შესრულება (ათასი ლარი)	შესრულება (%)
1.1.1 საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების გაუმჯობესება	25 02 03	920,325	920,325	100
1.1.2. საავტომობილო გზების გარდა, სხვა სტრატეგიული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება	25 02 02 01;08;09;10;11;12;15; 16;17;18;20; 25 03 03; 04; 05	725,861	725,861	100

ღონისძიება 1.2. სხვა (საავტომობილო გზების გარდა) სტრატეგიული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება

2020 წელს, მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში, სს „საქართველოს რკინიგზა“-ის ფინანსური სახსრებით დაიხარჯა 14,5 მლნ ლარი. აღნიშნული თანხიდან 1,5 მლნ ლარი დაიხარჯა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი ქონების გამოსყიდვაზე ხოლო 13 მლნ ლარი სამშენებლო სამუშაოებსა და ტექნიკურ ზედამხედველობაზე. საანგარიშო პერიოდში, დამუშავდა მრავალი პროექტი: სს "საქართველოს რკინიგზა"-მ წარმატებით შეასრულა ხელოვნური ნაგებობების მნიშვნელოვანი ნაწილის მშენებლობა ხაშური-ზესტაფონის (იმერეთი) მონაკვეთზე (სარკინიგზო ხიდის, შემაკავებელი კედლებისა და წყალგამტარი მილების, სამთო არხების სამშენებლო სამუშაოები). მიმდინარეობდა მე-9-ე გვირაბის (სიგრძე 8300 მ), მე-11-ე და მე-7 გვირაბების მოსაპირკეთებელი სამუშაოები. დასრულდა 2 გვირაბის (მე-10 და მე-12) მიღება-ჩაბარების პროცესი. ასევე, დასრულდა მიწის ვაკისის მშენებლობის მნიშვნელოვანი ნაწილი, კერძოდ, ძირულა-შორაპანის მონაკვეთი და მოლითის სადგურისთვის დროებითი ლიანდაგის მოწყობისთვის საჭირო მიწის ვაკისის სამუშაოები.

2020 წლის განმავლობაში აშენებული რკინიგზის სიგრძე შეადგენს 4,5 კმ -ს. 2020 წელს შესრულდა კონტრაქტორის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების 96%-მდე. ასევე, 2021 წლის განმავლობაში მოდერნიზაციის პროექტის ფრაგლებში, დაგეგმილია 3 ახალი სადგურის მშენებლობა (ქვიშხეთი, მოლითი და ძირულა).
საანგარიშო პერიოდში ასევე განხორციელდა 7 სადგურის და დეპოს მოდერნიზებისა და შეკეთების სამუშაოები (ჯამში დაიხარჯა 0,714 მლნ ლარი).

მყისიერი შედეგების მაჩვენებლები

მყისიერი შედეგების ინდიკატორი		2020 წელი	
	საზომი ერთეული	სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
მოდერნიზებული/ გაფართოებული და აშენებული რკინიგზის სიგრძე	კმ	4,5	4,5

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა	საბიუჯეტო კოდი	2020 წელი		
		სამიზნე მაჩვენებელი (ათასი ლარი)	ფაქტობრივი შესრულება (ათასი ლარი)	შესრულება (%)
1.2.1. თბილისი - მახინჯაურის მთავარი სარკინიგზო ხაზის ზესტაფონი - ხარაგაული; მოლითი-ქვიშხეთის მოდერნიზაციის პროექტი (მ.შ. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, სადგურებისა და დეპოების ოპტიმიზაცია, სატვირთო და სამგზავრო მატარებლების ოპტიმიზაცია და ახალი მატარებლების შეძენა)	N/A	14,472	14,472	100

აქტივობა 1.2.3 აეროპორტის ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის, დამატებითი ინფრასტრუქტურის მოწყობა

2020 წელს, მიუხედავად პანდემით გამოწვეული არაერთი დაბრკოლებისა, დავით აღმაშენებლის სახელობის, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის (იმერეთი) გაფართოვების სამუშაოები ფაქტიურად დასასრულს მიუახლოვდა. კერძოდ, დასრულდა ტერმინალის საინჟინრო სისტემების მოწყობა, ისევე როგორც ტერმინალის შეფუთვის სამუშაოები. ფაქტობრივად, დასრულდა ტერმინალის ახალი ნაწილის შიდა სარემონტო სამუშაოები, ისევე როგორც აღჭურვილობის შესასყიდად საჭირო სატენდერო პროცედურები. ტერმინალის ახალ ნაწილში მოეწყო გზამკვლევი. ხელშეკრულებები უკვე გაფორმებულია აეროპორტისთვის საჭირო სხვადასხვა სისტემების მოწყობისა და გამართვის მიზნით, მათ შორის გახმოვანება, ფრენების განრიგების ამსახველი ეკრანები და ა.შ. 2020 წელს ასევე დასრულდა ბარგის მართვის სისტემის სამონტაჟო სამუშაოები. მიმდინარეობდა ტერმინალის ახალი და არსებული ნაწილების ერთმანეთზე დაერთების სამუშაოები, ისევე როგორც არსებული ტერმინალის შიდა რემონტი. 2020 წელს დასრულდა ლანდშაფტის კონცეპტუალური დიზაინის პროექტირება, რომლის პირველი ფაზაც ამავე პერიოდში განხორციელდა. სულ საანგარიშო პერიოდში, ტერმინალის გაფართოვების პროექტის ფარგლებში, დაიხარჯა 38,4 მლნ ლარი.

აქტივობა 1.2.5. თბილისისა და ქუთაისის ლოგისტიკური ცენტრების განვითარება

თბილისისა და ქუთაისის ლოგისტიკური ცენტრების განვითარების თაობაზე, 2017 წლის 15 ნოემბერს გამოცხადებულ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული კომპანია ვერ გამოვლინდა. ქუთაისის ლოგისტიკური ცენტრის შემთხვევაში, შერჩევის პროცესი შეწყდა 2018 წლის ოქტომბერში, ვინაიდან მეორე ეტაპზე (RFP) განაცხადი არ წარმოადგინა არცერთმა კანდიდატმა. რაც შეეხება თბილისის ლოგისტიკურ ცენტრს, 2019 წლის ივლისში შესარჩევმა კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება შერჩევის პროცესის ჩაშლასთან დაკავშირებით, ვინაიდან ბოლო ეტაპზე გასულმა კანდიდატმა ვერ დააკმაყოფილა სატენდერო მოთხოვნები ვადის რამდენჯერმე გახანგრძლივების მიუხედავად. კერძოდ, არ იყო დაკმაყოფილებული სავალდებულო სამართლებრივი მოთხოვნები და წარმოდგენილი ფინანსური მოდელი არ პასუხობდა მოწვევის პირობებს. ამასთან, კანდიდატის მხრიდან წარმოდგენილი დამატებითი მოთხოვნები სცდებოდა მოწვევის პირობებით და მომზადებული ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებით დადგენილ ფარგლებს.

უშუალოდ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, კონკრეტული ღონისძიებები ლოგისტიკური ცენტრების პროექტთან დაკავშირებით არ განხორციელებულა. არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, საწყის ეტაპზე განიხილება შედარებით უფრო მცირე ზომის ლოგისტიკური ცენტრების მშენებლობის ხელშეწყობა, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში.

<u>ღონისძიება 1.3. მაღალსიჩქარიანი ინტერნეტ-ინფრასტრუქტურის განვითარება</u>

სსიპ - „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო“ ახორციელებს პროგრამას „ინტერნეტი განვითარებისთვის“, რომლის ძირითადი მიზანია საქართველოს რეგიონებში ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. 2020 წელს

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, მაღალმთიან დასახლებებში განხორციელდა სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის ინტერნეტის ჩართვის საფასურის ანაზღაურება ვაუჩერის მეშვეობით (150 ლარიანი ვაუჩერი). რაც შეეხება ციფრული წიგნიერების ტრენინგებს, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ეს ტრენინგი აღარ განხორციელებულა, რადგან გეგმიურად დასრულდა 2019 წლის ბოლოს. ასევე, იმავე მიზეზით, აღარ განხორციელდა მცირე მეწარმეთა მხრიდან ვაუჩერების მიღების პროგრამა. 2020 წელს სულ მოხდა 503 ვაუჩერის გამოყენება. 2020 წელს აქტივობის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენდა 126,305 ლარს, ხოლო ვაუჩერების რაოდენობა შემდეგნაირად განაწილდა რეგიონების მიხედვით: აჭარა - 296; იმერეთი - 7; კახეთი - 3; მცხეთა-მთიანეთი - 60; რაჭა-ლეჩხუმი - ქვემო სვანეთი - 84; სამეგრელო-ზემო სვანეთი - 33; სამცხე ჯავახეთი - 3; ქვემო ქართლი - 16; შიდა ქართლი - 1.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 იანვრის N60 განკარგულებით დამტკიცდა „საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020 – 2025 წლების ეროვნული სტრატეგია და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა“, რომელიც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ მოამზადა ევროკავშირის „ციფრული ბაზრების ჰარმონიზაციის“ პროექტის HDM/EU4Digital-ის ფარგლებში, მსოფლიო ბანკის საექპერტო დახმარებით.

შეტანილი იქნა ცვლილებები საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის №375 დადგენილებაში „საქართველოში ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ რომელიც განპირობებული იყო პროგრამის მოდელის ცვლილებით და საპილოტე რეგიონის განსაზღვრით, ამასთან, სახელმწფო პროგრამა შესაბამისობაში მოვიდა „საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020 – 2025 წლების ეროვნული სტრატეგია“-ის მიზნებთან. პროგრამის საპილოტე რეგიონის შერჩევა დაევალა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ შექმნილ კომისიას, ასევე სამინისტროს, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისა და ა(ა)იპ „ოუფენ ნეტისა“ წარმომადგენლების მონაწილეობით, რომლებმაც პროგრამის საპილოტე რეგიონის შერჩევის კრიტერიუმებისა და თეთრი ზონის სამიზნე გეოგრაფიულ არეალებში არსებული დასახლებული პუნქტების/მოსახლეობის რაოდენობის, ასევე პროექტის შემჭიდროვებულ ვადებში განხორციელების შესაძლებლობის გათვალისწინებით შეარჩია საპილოტე რეგიონი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სადაც უკვე დაწყებულია ქსელის მშენებლობა (აშენებული ინფრასტრუქტურა: 140 კმ), პროექტის დასრულების ვადად განსაზღვრულია 2021 წლის თებერვალი.

„საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020 – 2025 წლების ეროვნული სტრატეგიის“ ძირითადი მიმართულებების განხორციელების მიზნით, მსოფლიო ბანკთან დაიწყო „Log-in Georgia“-ს პროექტი, 2020 წლის 31 აგვისტოს „მსოფლიო ბანკთან“ ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის მიზანია მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის ხელმისაწვდომობის გაზრდა მთელი ქვეყნის მასშტაბით. პროექტი „Log-in Georgia“ სამი კომპონენტისგან შედგება: 1.

ფართოზოლოვან ინტერნეტთან წვდომის ზრდა; 2. მაღალსიჩქარიან ინტერნეტთან დაკავშირებული ციფრული სერვისების გამოყენების ხელშეწყობა 3. პროექტის დანერგვის მხარდაჭერა. სოფლების მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით დაფარვის ზრდით, ასევე ქვეყნის მასშტაბით ტრენინგისა და შესაძლებლობების განვითარების პროგრამების მეშვეობით, პროექტი ხელს შეუწყობს ციფრული სერვისების გამოყენებას. პროექტი წაახალისებს ციფრულ საფინანსო სერვისებსა და ელექტრონულ კომერციას, ასევე მთავრობის ელექტრონულ სერვისებს. გარდა ამისა, პროექტი ხელს შეუწყობს დისტანციური სწავლებისა და ტელემედიცინის განვითარებას. ამასთან, პროექტი ითვალისწინებს ფართოზოლოვანი სერვისების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობის მიზნით, პოლიტიკისა და მარეგულირებელი ჩარჩოების გაუმჯობესებას, რათა ტელეკომ ოპერატორებმა დაბალ ფასად შეძლონ მაღალხარისხიანი ინტერნეტსერვისის მიწოდება მოსახლეობისთვის. ამავე დროს, სამიზნე დასახლებულ პუნქტებში სპეციალური ღონისძიებები განხორციელდება ქალების, ეთნიკური და სოციალური უმცირესობებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიერ ინტერნეტითა და ციფრული სერვისებით სარგებლობის ხელშეწყობისთვის.

ქვეყნის მაღალმთიანი რეგიონების ინტერნეტით უზრუნველყოფის მიზნით, სადაც მოსახლეობის რაოდენობა ნაკლებია 200-ზე და არ შედის „საქართველოში ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამით“ განსაზღვრულ სამიზნე გეოგრაფიულ არეალებში, გრძელდებოდა სათემო ინტერნეტიზაციის ხელშემწყობი მოსამზადებელი ღონისძიებები, კერძოდ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაღალმთიანი დასახლებების დასაფარად.

საანგარიშო პერიოდში დასრულდა ფშავ-ხევსურეთისა და გუდამაყრის სათემო ინტერნეტიზაციის პროექტის ჩრდილოვანი ზონების დაფარვა, ოჯახებში დამონტაჟდა 18 IP ტელეფონი;

მყისიერი შედეგების ინდიკატორი	**საზომი ერთეული**	**2020 წელი**	
		სამიზნე ღირებულება	**შედეგი**
1.3. ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების მიზნით, „სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებადი ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაზიარების თაობაზე“ , შემუშავებული და მიღებული კანონპროექტი	რაოდენობა	1	1

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

პროგრამული ღონისძიების აქტივობა	2020			
	საბიუჯეტო კოდი	სამიზნე მაჩვენებელი (ათასი ლარი)	ფაქტობრივი შესრულება	შესრულება (%)
1.3.1. ინტერნეტი განვითარებისთვის - საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები სოციალურად დაუცველი 1,500 ოჯახისთვის ინტერნეტში ჩართვის საფასურის ანაზღაურება ვაუჩერის მეშვეობით (150 ლარიანი ვაუჩერი). აგრეთვე, საქართველოს რეგიონებში მოქმედი 1,000 მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეების ტრენინგი ელექტრონულ კომერციაში, ელექტრონულ ბიზნესში და ელექტრონულ მმართველობაში.	24 12	6,800	6,800	100

<u>ღონისძიება 1.4. ენერგო-ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და განახლებადი ენერგიის წყაროების პოტენციალის გაფართოვება</u>

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ასევე შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“-ის მიერ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით, შემუშავდა საქართველოს რეგიონების გაზიფიცირების გეგმა 2019-2021 წლებისათვის. გეგმა დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 5 აპრილის №791 განკარგულებით. განკარგულების მე-9 პუნქტის შესაბამისად მომზადდა წინადადებები და შევიდა შესაბამისი ცვლილებები, რის შედეგადაც, სამწლიანი გეგმა ითვალისწინებს 384 დასახლებული პუნქტის 88 363 პოტენციური აბონენტის გაზიფიცირებისათვის საჭირო სამუშაოების ჩატარებას. გაზიფიცირებისათვის საჭირო საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების ჯამური ღირებულება, წინასწარი გათვლებით, შეადგენს 239 მილიონ ლარს.

2020 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა სამუშაოები ზემოაღნიშნული გეგმის თანახმად, კერძოდ, დასრულდა 2019 წლის გეგმით გათვალისწინებები დაუსრულებელი სამუშაოები და დაიწყო 2020 წელს დაგეგმილი დასახლებული პუნქტების გაზიფიცირება.

აქტივობის ფარგლებში გათვალისწინებული იყო დამატებით 31 801 (ცვლილებების შედეგად - 45 612) პოტენციური აბონენტის გაზიფიცირება. წლის ბოლოსათვის ბუნებრივი გაზის მიწოდების ქსელში ჩართვის შესაძლებლობა მიეცა 36 693 პოტენციურ აბონენტს (მათგან: 4 962 აბონენტი - 2019 წლის გეგმის ფარგლებში, ხოლო 31 731 აბონენტი - 2020 წლის გეგმის ფარგლებში).

2020 წელს, აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისთვის, საპროგნოზო ბიუჯეტი განისაზღვრა 60 მლნ ლარით, რომლის ათვისებამ შეადგინა 100 %. 2020 წელს გაზიფიცირების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები

მიმდინარეობდა საქართველოს კონტროლირაბადი ტერიტორიების ყველა რეგიონში. 2020 წლის ბოლოსათვის პროგრამის ფარგლებში (2009-2020წწ) ბუნებრივი გაზის მიწოდების ქსელზე წვდომა ჰქონდათ 452 890 პოტენციურ აბონენტს.

რეგიონი	აბონენტების სავარაუდო რაოდენობა	სავარაუდო ღირებულება (მლნ ლარი)	გაზსადენების სიგრძე
აჭარის არ	5,913	19	341,397
გურია	7,855	16,9	448,373
იმერეთი	4,769	16,1	312,008
კახეთი	1,390	3,1	79,640
მცხეთა-მთიანეთი	1,447	11,2	135,806
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სხვანეთი	1,053	3,2	65,543
სამეგრელო-ზემო სვანეთი	9,781	22,6	586,365
სამცხე-ჯავახეთი	929	3,3	76,678
ქვემო ქართლი	2,158	6,7	145,021
შიდა ქართლი	1,398	2,7	61,683

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა	**საბიუჯეტო კოდი**	**2020 წელი**		
		სამიზნე მაჩვენებელი (ათასი ლარი)	**ფაქტობრივი შესრულება (ათასი ლარი)**	**შესრულება (%)**
1.4.1. მოსახლეობის ელეტროენერგიითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესება	24 15	60,000	60,000	100
1.4.2 ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EIB, EU)	24 13 01	32,000	39,445	123
1.4.3 სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება	24 14	15,000	9,817	65
1.4.3.1 "ახალციხე-ბათუმი" ხაზის მშენებლობა (ADB, IBRD, WB)	24 14 01 01	10,000	5,276	53
1.4.3.2 ჯვარი-ხორგა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა (EBRD, EC, KfW, WB)	24 14 02 02	5,000	2,085	42

<u>ღონისძიება 1.5. ბუნებრივი კატასტროფებისგან დამცავი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება</u>

ნაპირდაცვითი ღონისძიებები და სტიქიური მოვლენებისა და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები

2020 წელს სტიქიური მოვლენების პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები მიმდინარეობდა 16 ობიექტზე, აქედან, 6 ობიექტზე სამუშაოები დასრულდა.

გარემოს ეროვნულმა სააგენტომ 2020 წელს ჩაატარა შემდეგი ღონისძიებები:

გურიის მხარე:

- დღეღამურ რეჟიმში წარმოებდა დაკვირვებები რეგიონში არსებულ 6 ჰიდრომეტეოროლოგიურ სადგურსა და საგუშაგოზე;
- გაზაფხულის წყალდიდობის პროგნოზის შედგენის მიზნით 1 მარშუტზე განხორციელდა თოვლის აგეგმვითი სამუშაოები.
- მზადდებოდა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებსა და მასმედიის საშუალებებს მიეწოდებოდა გაფრთხილებები რეგიონში მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ;
- სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან, უწყებებიდან და ცალკეული მოქალაქეებისგან შემოსული წერილების საფუძველზე, სტიქიური პროცესების გააქტიურებასთან დაკავშირებით, შედგენილი იქნა 18 ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა, რომელშიც შეფასებულია 272 ოჯახის (კომლი) საცხოვრებელი სახლის, საკარმიდამო მიწის ნაკვეთისა და მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური მდგომარეობა, სტიქიური გეოლოგიური მოვლენებით გამოწვეული საშიშროების რისკის განსაზღვრით და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები გადაუდებელი ღონისძიებების გატარების მიზნით;
- სტიქიური გეოლოგიური პროცესების მონიტორინგის მიზნით შეფასდა 68 დასახლებული პუნქტი;
- სტიქიური გეოლოგიური პროცესების (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი, ქვათაცვენა და სხვა) ექსტრემალური გააქტიურების შედეგად შეფასდა 129 დასახლებული პუნქტი;
- გურიის მხარისთვის მომზადდა გეოლოგიური ბიულეტენი "2019 წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და პროგნოზი 2020 წლისთვის";
- მიმდინარეობდა მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლების მონიტორინგის ავტომატური სადგურებიდან მონაცემების მიღება-კონტროლი;
- მდ. სუფსისა და მდ. ნატანების აუზისთვის მომზადდა გეოლოგიური საფრთხეების მონაცემთა GIS ბაზა და კატალოგი/კადასტრი.

იმერეთის მხარე:

- დღეღამურ რეჟიმში წარმოებდა დაკვირვებები რეგიონში არსებულ 21 ჰიდრომეტეოროლოგიურ სადგურსა და საგუშაგოზე;
- მზადდებოდა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებსა და მასმედიის საშუალებებს მიეწოდებოდა გაფრთხილებები რეგიონში მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ;
- გაზაფხულის წყალდიდობის პროგნოზის შედგენის მიზნით მაღალმთიან რეგიონებში განხორციელდა თოვლის აგეგმვითი სამუშაოები.
- სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან, უწყებებიდან და ცალკეული მოქალაქეებისგან შემოსული წერილების საფუძველზე, სტიქიური პროცესების

გააქტიურებასთან დაკავშირებით, შედგენილი იქნა 167 ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა, სადაც შეფასებულია 267 ოჯახის (კომლი) საცხოვრებელი სახლის, საკარმიდამო მიწის ნაკვეთისა და მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური მდგომარეობა, სტიქიური გეოლოგიური მოვლენებით გამოწვეული საშიშროების რისკის განსაზღვრით და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები გადაუდებელი ღონისძიებების გატარების მიზნით;

- სტიქიური გეოლოგიური პროცესების მონიტორინგის მიზნით შეფასდა 137 დასახლებული პუნქტი;
- სტიქიური გეოლოგიური პროცესების (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი, ქვათაცვენა და სხვა) ექსტრემალური გააქტიურების შედეგად შეფასდა 256 დასახლებული პუნქტი;
- იმერეთის მხარისთვის მომზადდა გეოლოგიური ბიულეტენი "2019 წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და პროგნოზი 2020 წლისთვის".

კახეთის მხარე:

- დღეღამურ რეჟიმში წარმოებდა დაკვირვებები რეგიონში არსებულ 18 ჰიდრომეტეოროლოგიურ სადგურსა და საგუშაგოზე;
- მზადდებოდა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს და მასმედიის საშუალებებს მიეწოდებოდა გაფრთხილებები რეგიონში მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ;
- გაზაფხულის წყალდიდობის პროგნოზის შედგენის მიზნით 2 მარშუტზე განხორციელდა თოვლის აგეგმვითი სამუშაოები.
- სხვადასხვა მუნიციპალიტეტებიდან, უწყებებიდან და ცალკეული მოქალაქეებისგან შემოსული წერილების საფუძველზე, სტიქიური პროცესების გააქტიურებასთან დაკავშირებით, შედგენილი იქნა 9 ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა, სადაც შეფასებულია 13 ოჯახის (კომლი) საცხოვრებელი სახლის, საკარმიდამო მიწის ნაკვეთისა და მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური მდგომარეობა, სტიქიური გეოლოგიური მოვლენებით გამოწვეული საშიშროების რისკის განსაზღვრით და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები გადაუდებელი ღონისძიებების გატარების მიზნით;
- სტიქიური გეოლოგიური პროცესების მონიტორინგის მიზნით შეფასდა 17 დასახლებული პუნქტი;
- სტიქიური გეოლოგიური პროცესების (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი, ქვათაცვენა და სხვა) ექსტრემალური გააქტიურების შედეგად შეფასდა 13 დასახლებული პუნქტი;
- კახეთის მხარისთვის მომზადდა გეოლოგიური ბიულეტენი "2019 წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და პროგნოზი 2020 წლისთვის";
- გამოიცა კახეთის მხარის (ფურცლები: K-38-XXII; K-38-XXIII; K-38-XXVIII; K-38-XXIX) გეოლოგიური რუკები, შესაბამისი ანგარიშით;

- პროგრამის „სახელმწიფო გეოლოგიური რუკების შედგენა (გეოლოგიური აგეგმვა)“ ფარგლებში თუშეთის მხარეში განხორციელდა საფონდო (ისტორიული) გეოლოგიური მონაცემების დამუშავება, საველე გეოლოგიური კვლევები და მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიმდინარეობს მონაცემების დამუშავება;
- მიმდინარეობდა მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლების მონიტორინგის ავტომატური სადგურებიდან მონაცემების მიღება-კონტროლი.

მცხეთა-მთიანეთის მხარე:

- დღეღამურ რეჟიმში წარმოებდა დაკვირვებები რეგიონში არსებულ 21 ჰიდრომეტეოროლოგიურ სადგურსა და საგუშაგოზე;
- მზადდებოდა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებსა და მასმედიის საშუალებებს მიეწოდებოდა გაფრთხილებები რეგიონში მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ;
- გაზაფხულის წყალდიდობის პროგნოზის შედგენის მიზნით 3 მარშუტზე განხორციელდა თოვლის აგეგმვითი სამუშაოები;
- გუდაური-კობის მონაკვეთზე გაიცა 73 სპეცგაფრთხილება მოსალოდნელი თოვლის ზვავების შესახებ.
- სხვადასხვა მუნიციპალიტეტებიდან, უწყებებიდან და ცალკეული მოქალაქეებისგან შემოსული წერილების საფუძველზე, სტიქიური პროცესების გააქტიურებასთან დაკავშირებით, შედგენილი იქნა 4 ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა, სადაც შეფასებულია 5 ოჯახის (კომლი) საცხოვრებელი სახლის, საკარმიდამო მიწის ნაკვეთისა და მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური მდგომარეობა, სტიქიური გეოლოგიური მოვლენებით გამოწვეული საშიშროების რისკის განსაზღვრით და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები გადაუდებელი ღონისძიებების გატარების მიზნით;
- სტიქიური გეოლოგიური პროცესების მონიტორინგის მიზნით შეფასდა 88 დასახლებული პუნქტი;
- სტიქიური გეოლოგიური პროცესების (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი, ქვათაცვენა და სხვა) ექსტრემალური გააქტიურების შედეგად შეფასდა 4 დასახლებული პუნქტი;
- მცხეთა-მთიანეთის მხარისთვის მომზადდა გეოლოგიური ბიულეტენი “2019 წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და პროგნოზი 2020 წლისთვის“;
- მიმდინარეობდა მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლების მონიტორინგის ავტომატური სადგურებიდან მონაცემების მიღება-კონტროლი.

რაჭა-ლეჩხუმ- ქვემო სვანეთის მხარე:

- დღეღამურ რეჟიმში წარმოებდა დაკვირვებები რეგიონში არსებულ 18 ჰიდრომეტეოროლოგიურ სადგურსა და საგუშაგოზე;

- მზადდებოდა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს და მასმედიის საშუალებებს მიეწოდებოდა გაფრთხილებები რეგიონში მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ;
- გაზაფხულის წყალდიდობის პროგნოზის შედგენის მიზნით 2 მარშუტზე განხორციელდა თოვლის აგეგმვითი სამუშაოები;
- მუნიციპალიტეტებიდან, უწყებებიდან და ცალკეული მოქალაქეებისგან შემოსული წერილების საფუძველზე, სტიქიური პროცესების გააქტიურებასთან დაკავშირებით, შედგენილი იქნა 38 ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა; სადაც შეფასებულია 161 ოჯახის (კომლი) საცხოვრებელი სახლის, საკარმიდამო მიწის ნაკვეთის და მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური მდგომარეობა, სტიქიური გეოლოგიური მოვლენებით გამოწვეული საშიშროების რისკის განსაზღვრით და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები გადაუდებელი ღონისძიებების გატარების მიზნით;
- სტიქიური გეოლოგიური პროცესების მონიტორინგის მიზნით შეფასდა 93 დასახლებული პუნქტი;
- სტიქიური გეოლოგიური პროცესების (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი, ქვათაცვენა და სხვა) ექსტრემალური გააქტიურების შედეგად შეფასდა 118 დასახლებული პუნქტი;
- რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის მხარისთვის მომზადდა გეოლოგიური ბიულეტენი "2019 წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და პროგნოზი 2020 წლისთვის".

სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე:

- დღეღამურ რეჟიმში წარმოებდა დაკვირვებები რეგიონში არსებულ 19 ჰიდრომეტეოროლოგიურ სადგურსა და საგუშაგოზე;
- მზადდებოდა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებსა და მასმედიის საშუალებებს მიეწოდებოდა გაფრთხილებები რეგიონში მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ;
- გაზაფხულის წყალდიდობის პროგნოზის შედგენის მიზნით 2 მარშუტზე განხორციელდა თოვლის აგეგმვითი სამუშაოები;
- პროექტის „კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის შესაძლებლობების გაძლიერება საქართველოში" (GCF, UNDP/SDC) მხარდაჭერის ფარგლებში 2020 წელს დაგეგმილი მდ. ენგურისა და ხობისწყალზე განხორციელდა საველე სამუშაოები, აიგეგმა მდინარეთა ჭალა-კალაპოტები.
- ზვავსაშიში უბნების იდენტიფიცირების მიზნით, ამავე პროექტის ფარგლებში, საველე სამუშაოების გზით შესწავლილ იქნა ენგურისა და ხობისწყლის აუზები, მესტიისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის შემდეგი თემები: წვრიმი, იფარი, კალა, უშგული, მულახი, მესტია, ლენჯერი, ლატალი, ბეჩო, ცხუმარი, ნაკრა, ეცერი, ფარი, ლახამულა, ჭუბერი, იდლიანი, ხაიში, ჭალე და ფახულანი. საველე სამუშაოებში მონაწილეობას იღებდა სამი სპეციალისტისგან შემდგარი ჯგუფი. განხორციელებული ძირითადი აქტივობებია: საველე პირობებში თოვლსაზვავე

უბნების იდენტიფიკაცია და საჭირო მონაცემების შეგროვება; GPS კოორდინატების დაფიქსირება; თოვლსაზვავე უბნის მახასიათებლების განსაზღვრა; დასურათება. ზვასაშიში უბნების პირველადი იდენტიფიცირების მიზნით გამოყენებულ იქნა კვადროკოპტერი DJI Matrice 210 RTK V2, ხოლო შემდგომი ანალიზის მერე დაიგეგმა აეროგადაღება უპილოტო საფრენი აპარატის თვითმფრინავის კორპუსით შვეიცარიული კომპანიის Sensefly-ის eBeeX RTK-ს გამოყენებით. გადაღებულ იქნა 500 ჰა ფართობის არეალი. კამერალური სამუშაოების დროს მოხდება შეგროვებული ინფორმაციის დამუშავება, შეიქმნება ციფრული სასიმაღლო მოდელი (DEM) და აეროსურათები, რაც გამოყენებული იქნება თოვლის ზვავების საფრთხეების რუკების მომზადებისას.

- მუნიციპალიტეტებიდან, უწყებებიდან და ცალკეული მოქალაქეებისგან შემოსული წერილების საფუძველზე, სტიქიური პროცესების გააქტიურებასთან დაკავშირებით, შედგენილი იქნა 45 ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა; სადაც შეფასებულია 153 ოჯახის (კომლი) საცხოვრებელი სახლის, საკარმიდამო მიწის ნაკვეთის და მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური მდგომარეობა, სტიქიური გეოლოგიური მოვლენებით გამოწვეული საშიშროების რისკის განსაზღვრით და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები გადაუდებელი ღონისძიებების გატარების მიზნით;
- სტიქიური გეოლოგიური პროცესების მონიტორინგის მიზნით შეფასდა 365 დასახლებული პუნქტი;
- სტიქიური გეოლოგიური პროცესების (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი, ქვათაცვენა და სხვა) ექსტრემალური გააქტიურების შედეგად შეფასდა 97 დასახლებული პუნქტი;
- სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარისთვის მომზადდა გეოლოგიური ბიულეტენი "2019 წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და პროგნოზი 2020 წლისთვის";
- მდ. ენგურის აუზში განხორციელებული საველე გეოლოგიური კვლევების შედეგად, იდენტიფიცირებულია სხვადასხვა ტიპის 1188 გეოლოგიური პროცესი (მეწყერი - 664, ღვარცოფი - 171, კლდეზვავ-ქვათაცვენა - 238, მდინარის ნაპირის გარეცხვა (ეროზია) – 110, ფართობული ეროზია - 3; დახრამვა - 2);
- მდ. ხობისწყლის აუზში განხორციელებული საველე გეოლოგიური კვლევების შედეგად იდენტიფიცირებულია სხვადასხვა ტიპის 597 გეოლოგიური პროცესი (მეწყერი - 338, ღვარცოფი - 11, კლდეზვავ-ქვათაცვენა - 2, მდინარის ნაპირის გარეცხვა (ეროზია) – 241, ფართობული ეროზია - 5);
- მიმდინარეობდა მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლების მონიტორინგის ავტომატური სადგურებიდან მონაცემების მიღება-კონტროლი

სამცხე-ჯავახეთის მხარე:

- დღეღამურ რეჟიმში წარმოებდა დაკვირვებები რეგიონში არსებულ 9 ჰიდრომეტეოროლოგიურ სადგურსა და საგუშაგოზე;

- მზადდებოდა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებსა და მასმედიის საშუალებებს მიეწოდებოდა გაფრთხილებები რეგიონში მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ;
- გაზაფხულის წყალდიდობის პროგნოზის შედგენის მიზნით 3 მარშუტზე განხორციელდა თოვლის აგეგმვითი სამუშაოები;
- მუნიციპალიტეტებიდან, უწყებებიდან და ცალკეული მოქალაქეებისგან შემოსული წერილების საფუძველზე, სტიქიური პროცესების გააქტიურებასთან დაკავშირებით, შედგენილი იქნა 9 ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა; სადაც შეფასებულია 22 ოჯახის (კომლი) საცხოვრებელი სახლის, საკარმიდამო მიწის ნაკვეთის და მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური მდგომარეობა, სტიქიური გეოლოგიური მოვლენებით გამოწვეული საშიშროების რისკის განსაზღვრით და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები გადაუდებელი ღონისძიებების გატარების მიზნით;
- სტიქიური გეოლოგიური პროცესების მონიტორინგის მიზნით შეფასდა 71 დასახლებული პუნქტი;
- სტიქიური გეოლოგიური პროცესების (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი, ქვათაცვენა და სხვა) ექსტრემალური გააქტიურების შედეგად შეფასდა 18 დასახლებული პუნქტი;
- სამცხე-ჯავახეთის მხარისთვის მომზადდა გეოლოგიური ბიულეტენი "2019 წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და პროგნოზი 2020 წლისთვის".

ქვემო ქართლის მხარე:

- დღეღამურ რეჟიმში წარმოებდა დაკვირვებები რეგიონში არსებულ 12 ჰიდრომეტეოროლოგიურ სადგურსა და საგუშაგოზე;
- მზადდებოდა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებსა და მასმედიის საშუალებებს მიეწოდებოდა გაფრთხილებები რეგიონში მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ;
- გაზაფხულის წყალდიდობის პროგნოზის შედგენის მიზნით 2 მარშუტზე განხორციელდა თოვლის აგეგმვითი სამუშაოები;
- სტიქიური გეოლოგიური პროცესების მონიტორინგის მიზნით შეფასდა 19 დასახლებული პუნქტი;
- სხვადასხვა მუნიციპალიტეტებიდან, უწყებებიდან და ცალკეული მოქალაქეებისგან შემოსული წერილების საფუძველზე, სტიქიური პროცესების გააქტიურებასთან დაკავშირებით, შედგენილი იქნა 1 ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა; სადაც შეფასებულია 1 ოჯახის (კომლი) საცხოვრებელი სახლის, საკარმიდამო მიწის ნაკვეთის და მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური მდგომარეობა, სტიქიური გეოლოგიური მოვლენებით გამოწვეული საშიშროების რისკის განსაზღვრით და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები გადაუდებელი ღონისძიებების გატარების მიზნით;

- სტიქიური გეოლოგიური პროცესების (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი, ქვათაცვენა და სხვა) ექსტრემალური გააქტიურების შედეგად შეფასდა 1 დასახლებული პუნქტი;
- ქვემო ქართლის მხარისთვის მომზადდა გეოლოგიური ბიულეტენი "2019 წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და პროგნოზი 2020 წლისთვის";
- მიმდინარეობდა მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლების მონიტორინგის ავტომატური სადგურებიდან მონაცემების მიღება-კონტროლი.

შიდა ქართლის მხარე:

- დღეღამურ რეჟიმში წარმოებდა დაკვირვებები რეგიონში არსებულ 3 ჰიდრომეტეოროლოგიურ სადგურსა და საგუშაგოზე;
- მზადდებოდა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებსა და მასმედიის საშუალებებს მიეწოდებოდა გაფრთხილებები რეგიონში მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ;
- მუნიციპალიტეტებიდან, უწყებებიდან და ცალკეული მოქალაქეებისგან შემოსული წერილების საფუძველზე, სტიქიური პროცესების გააქტიურებასთან დაკავშირებით, შედგენილი იქნა 12 ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა; სადაც შეფასებულია 39 ოჯახის (კომლი) საცხოვრებელი სახლის, საკარმიდამო მიწის ნაკვეთის და მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური მდგომარეობა, სტიქიური გეოლოგიური მოვლენებით გამოწვეული საშიშროების რისკის განსაზღვრით და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები გადაუდებელი ღონისძიებების გატარების მიზნით;
- სტიქიური გეოლოგიური პროცესების მონიტორინგის მიზნით შეფასდა 61 დასახლებული პუნქტი;
- სტიქიური გეოლოგიური პროცესების (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი, ქვათაცვენა და სხვა) ექსტრემალური გააქტიურების შედეგად შეფასდა 12 დასახლებული პუნქტი;
- შიდა ქართლის მხარისთვის მომზადდა გეოლოგიური ბიულეტენი "2019 წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და პროგნოზი 2020 წლისთვის";
- მიმდინარეობდა მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლების მონიტორინგის ავტომატური სადგურებიდან მონაცემების მიღება-კონტროლი.

მყისიერი შედეგების მაჩვენებლები

ინდიკატორი	საზომი ერთეული	სამიზნე ღირებულება	2020
დაცული სანაპირო ზოლის სიგრძე; ნაპირსამაგრი სამუშაოების რაოდენობა	კ.მ.	30	26
ბუნებრივი კატასტროფებისგან დასაცავად აშენებული და მოწყობილი ნაგებობების	რაოდენობა	10	6

რაოდენობა (გარდა მონიტორინგის სადგურებისა); სტიქიური მოვლენებისა და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები (გარდა მონიტორინგის სადგურებისა)			

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა	**საბიუჯეტო კოდი**	**2020 წელი**		
		სამიზნე მაჩვენებელი (ათასი ლარი)	**ფაქტობრივი შესრულება (ათასი ლარი)**	**შესრულება (%)**
1.5.1. ზღვის და მდინარეების სანაპირო ზონების ნაპირსამაგრი სამუშაოები	25 02 02 07. მგფ 25 03 02	371,266.	371,266	100
1.5.2. ბუნებრივი კატასტროფების წინააღმდეგ ინფრასტრუქტურის აშენება/მოწყობა	25 02 02 05	8,000	8,000	100
1.5.3 ჰიდრომეტეოროლოგიური პარამეტრების და გეოლოგიური საფრთხეების მონიტორინგისთვის სტანდარტული და სპეციალიზებული ქსელის გაფართოვება / შექმნა, მათ შორის: ა) ამინდის პირობების მონიტორინგის მიზნით რადარების ქსელის განვითარება ბ) ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ჰიდრომეტეოროლოგიური მონიტორინგის მონაცემების შეგროვებისა და გავრცელებისათვის სატელეკომუნიკაციო სისტემის გაუმჯობესება გ) გეოლოგიური საფრთხეების (მეწყერი, ღვარცოფი და სხვა) არეალებში მოქცეული დასახლებული პუნქტების და ინფრასტრუქტურული ობიექტების მონიტორინგის ქსელის გაფართოება, მათ შორის ინსტრუმენტალური მონიტორინგი	34 01 01	9,950	2,670	26.83

<u>ღონისძიება 1.6 წყალმომარაგების, წყალარინებისა და მყარი ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურის განვითარება</u>

2020 წელს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომოპანიის მიერ გამოცხადებული ტენდერებიდან 63 პროექტზე გაფორმდა ხელშეკრულება, რომელთა ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 353,6 მილიონ ლარს. აქედან იმავე წელს დასრულდა მხოლოდ 4 პროექტი 8,9 მილიონი ლარის ჯამური ღირებულებით.

ქვემოთ მოყვანილია მიმდინარე პროექტების ჩამონათვალი რეგიონულ ჭრილში.

- გურიის რეგიონში - 3 პროექტი (ჯამური სახელშეკრულებო ღირებულებაა 10,1 მლნს ლარი);
- იმერეთის რეგიონში - 9 პროექტი (ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება 24,2 მლნ ლარი);
- კახეთის რეგონში - 21 პროექტი (ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება 139,7 მლნ ლარი);
- მცხეთა-მთიანეთის რეგიონში. - 5 პროექტი (ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება 9,4 მლნ ლარი);
- სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში - 7 პროექტი (ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება 18,5 ლარი);
- სამცხე-ჯავახეთის რეგიონში - 5 პროექტი (ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება 30,1 ლარი);
- ქვემო ქართლის რეგიონში - 5 პროექტი (ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება 107,6 ლარი)
- შიდა ქართლის რეგიონში - 4 პროექტი (ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება 4,8 მლნ ლარი).
- რაჭა-ლეჩხუმის ქვემო-სვანეთის რეგიონში 2020 წელს პროექტები არ განხორციელებულა. პროექტის განხორციელება დაიწყება 2021 წლის მაისში და მოიცავს „ქ. ონის „ჟიჟორეთის“ სათავე ნაგებობის მაგისტრალური მილდენის ნაპირდაცვის სამუშაოების“ პროექტირება-მშენებლობას

მყისიერი შედეგების მაჩვენებლები

მყისიერი შედეგების ინდიკატორი		2020	
	საზომი ერთეული	სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
განხორციელებული (დამთავრებული) წყალმომარაგების პროექტების რაოდენობა	რაოდენობა	57	4
განხორციელებული წყალარინების პროექტების რაოდენობა	რაოდენობა	6	0

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა	საბიუჯეტო კოდი	2019 წელი		
		სამიზნე მაჩვენებელი (ათასი ლარი)	ფაქტობრივი შესრულება (ათასი ლარი)	შესრულება (%)
1.6.1 წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელის მოდერნიზაცია და განვითარება, მათ შორის გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა/რეაბილიტაცია	25 04 04; 06; 08; 05; მგფ 02; 03	77,141	77,141	100
1.6.2 მყარი ნარჩენების მართვის სისტემის განვითარება (ძველი ნაგავსაყრელების დახურვა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ახალი რეგიონული ნაგავსაყრელების მშენებლობა).	25 05, 56 13 03	21,020	19,820	94.29

პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვებმა შეაფერხა სამუშაოების წარმოება და გავლენა იქონია პროექტების დასრულების ვადებზე. ასევე, ცალკეულ შემთხვევაში, შემაფერხებელი ფაქტორია არასწორად შემუშავებული დიზაინი. სამუშაოების მიმდინარეობისას ხარვეზების გამოკვეთა იწვევდა პროექტის შეფერხებას და საბოლოოდ მისი ვადის გახანგრძლივებას, რაც დამკვეთის, ინჟინერისა და კონტრაქტორის მხრიდან დამატებით ძალისხმევას მოითხოვდა. გამომდინარე იქიდან, რომ მიმდინარეობდა შესაბამისი დასახლებების განვითარება, აუცილებელი გახდა ახალი სამუშაოების განხორციელება, რაც ასევე დამატებით დროს მოითხოვდა. შემაფერხებულ ფაქტორს ასევე უამინდობა წარმოადგენდა.

მყარი ნარჩნების მართვა

2020 წელს მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა ქ. სამტრედიის, ქ. საჩხერის, ქ. თერჯოლას, (იმერეთი), ქ. ხაშურის (ქვემო ქართლს), ქ. ლაგოდეხის, ქ. საგარეჯოს (კახეთი), ქ.დუშეთის (მცხეთა-მთიანეთი) ნაგავსაყრელებს და დასრულდა ქ. ტყიბულის (იმერეთი), ქ. მარნეულის (ქვემო ქართლი) და ქ. კასპის (შიდა ქართლის) ნაგავსაყრელების რეაბილიტაცია, ასევე განხორციელდა აირის ჩირაღდნული წვის სისტემის მოწყობის სამუშაოები ქ. რუსთავის (ქვემო ქართლი) ნაგავსაყრელს. დაიწყო სატენდერო პროცედურები ქ. დმანისის (ქვემო ქათლი) ნაგავსაყრელის დახურვის სამუშაოებზე.

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტების განხორციელება

ქუთაისის ინტეგრირებული მყარი ნარჩენების მართვის პროექტი (EU, KFW) - საბიუჯეტო კოდი 25 05 02

პროექტი ითვალისწინებს მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის სისტემის დანერგვას საქართველოს 3 რეგიონში, კერძოდ: იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში. პროექტით გათვალისწინებულია ქუთაისის მიმდებარედ ახალი რეგიონული ნაგავსაყრელის მოწყობა, ქუთაისის მოქმედი ძველი ნაგავსაყრელის დახურვა, ნარჩენების გადამტვირთავი 6 სადგურის მოწყობა და მუნიციპალიტეტების შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა. უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ გამოხატა უკმაყოფილობა ნაგავსაყრელის დაგეგმილი ადგილმდებარეობის თაობაზე, რის გამოც მომზადდა ალტერნატიული ტერიტორიის შერჩევის ანგარიში (Site Selection Report) და პროექტის გზამკვლევის ანგარიში (Roadmap), სადაც შეფასდა არსებული სიტუაცია, გაანალიზდა პროექტის სამომავლო განვითარების პერსპექტივები და გაიწერა პროექტის განხორციელებისთვის აუცილებელი სამომავლო საფეხურები. ასევე გამოცხადდა ახალი შემსრულებელი კომპანიის ტენდერი, რომელიც უნდა დამთავრდეს 2021 წელს, ხოლო ახალი მდებარეობით ნაგავსაყრელის აშენების დასრულება დაგეგმილია 2023 წელს.

ქვემო ქართლის მყარი ნარჩენების მართვის პროექტი (EBRD) – საბიუჯეტო კოდი 25 05 03

პროექტი ითვალისწინებს ქვემო ქართლის ახალი ნაგავსაყრელის შექმნას, რომელიც მოემსახურება აღნიშნული რეგიონის 5 მუნიციპალიტეტს, ესენია: წალკა, დმანისი, თეთრიწყარო, მარნეული და ბოლნისი. მოხდება აღნიშნული მუნიციპალიტეტების აღჭურვა აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით. პროექტის ფარგლებში მომზადდა სკოპინგის ანგარიში, რომელიც წარედგინა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს განსახილველად, განხილვის შემდეგ კი დაიწყება ახალი რეგიონული ნაგავსაყრელის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და დეტალური დიზაინის მომზადება. ნაგავსაყრელის მშენებლობის დასრულება დაგეგმილია 2023 წლის ბოლოს.

კახეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტი – საბიუჯეტო კოდი 25 05 04

პროექტი მოიცავს კახეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის სისტემის დანერგვას, რომელიც მოიცავს ახალი ნაგავსაყრელების მოწყობასა და რეგიონებში არსებული ძველი ნაგავსაყრელების დახურვას, ასევე ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მოწყობას, მუნიციპალიტეტების აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით აღჭურვას, კახეთის რეგიონში კომპოსტირების საწარმოს მოწყობასა და ნარჩენების გადამუშავების საპილოტე პროექტის განხორციელებას.

კახეთის რეგიონში ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების კვლევის შედეგად, შერჩეული სამშენებლო ტერიტორიის ცვლილების აუცილებლობიდან გამომდინარე (ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტის გამო) განხორციელდა ალტერნატიული ტერიტორიის შერჩევის კვლევა (Site Selection Report) და შემუშავდა შესაბამისი წინასწარი ანგარიში.

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონისთვის, განმახორციელებელი კონსულტანტის მიერ, მომზადდა სკოპინგის ანგარიში, გაიმართა აღნიშნული დოკუმენტის საჯარო განხილვა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაიცა სკოპინგის დასკვნა.
დაიწყო გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადება. ასევე, მომზადდა ზუგდიდის არსებული ნაგავსაყრელის დახურვის კონცეპცია. მიმდინარეობდა ნარჩენების გადატვირთვისა და ტრანსპორტირების ლოჯისტიკური მოდელის შემუშავება, ზუგდიდის არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის დეტალური დიზაინისა და სამშენებლო კომპანიის შესარჩევი სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება.

სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონული ნაგავსაყრელის მშენებლობის დასრულება დაგეგმილია 2023 წლის ბოლოს, ხოლო კახეთის - 2024 წელს.

<u>ღონისძიება 1.7 კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და პოპულარიზაცია</u>

2020 წელს განხორციელდა 11 სსიპ-ის (მუზეუმების, სახლ-მუზეუმების) დაფინანსება კახეთში, იმერეთსა და ქვემო ქართლში.
2020 წელს მომზადდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის 31 ძეგლის რეაბილიტაციის საპროექტო და წინასაპროექტო დოკუმენტაცია შემდეგ რეგიონებში: კახეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, შიდა ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, მცხეთა-მთიანეთსა და იმერეთში.
საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების მიმართულებით გაფორმდა ხელშეკრულებები ქვემო ქართლსა (ბოლნისის მუნიციპალიტეტი) და მცხეთა მთიანეთში (დუშეთის მუნიციპალიტეტი) მდებარე მუნიციპალიტეტებთან. ასევე საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების რესტავრაცია-რეაბილიტაცია, ობიექტების არქეოლოგიური შესწავლა-კონსერვაცია და კულტურული მემკვიდრეობის კედლის მხატვრობის კონსერვაცია. დასრულდა 2020 წელს დაგეგმილი ძეგლების რესტავრაცია-რეაბილიტაცია, კონსერვაცია და არქეოლოგიური შესწავლა ყველა რეგიონის მუნიციპალიტეტებში.

მყისიერი შედეგების მაჩვენებლები

	2020 წელი		
მყისიერი შედეგების ინდიკატორი	**საზომი ერთეული**	**სამიზნე მაჩვენებელი**	**შედეგი**
კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებზე: მომზადებული სარეაბილიტაციო პროექტი, რესტავრირებული ძეგლი, განხორციელებული ობიექტების არქეოლოგიური შესწავლა-კონსერვაცია	რაოდენობა	40	52
რეაბილიტირებული მუზეუმების რაოდენობა, გამოფენები, რესტავრირებული ექსპონატები, სხვადასხვა აქტივობებები	რაოდენობა	400	600
კულტურული მემიკიდრეობის სფეროს გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა	რაოდენობა	3	0

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა	**საბიუჯეტო კოდი**	**2020 წელი**		
		სამიზნე მაჩვენებელი (ათასი ლარი)	**ფაქტობრივი შესრულება (ათასი ლარი)**	**შესრულება (%)**
1.7.1. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის გაუმჯობესება	33 04	20.94	13.23	63.17
1.7.2. კულტურის სფეროს ინფრასტრუქტურის განვითარება და ფინანსური მდგრადობა	32 07 06	11, 540	8, 983	77.84

<u>ღონისძიება 1.8. ბუნებრივი მემკვიდრეობის (ეროვნული პარკები, ნაკრძალები და სხვა კატეგორიის დაცული ტერიტორიები) შენარჩუნება და პოპულარიზაცია</u>

2020 წლის სამიზნე მაჩვენებელს წარმოაგენდა დაცულ ტერიტორიებზე 1 ვიზიტორთა ცენტრის და საგამოფენო სივრცის მოწყობა, ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით დაცულ ტერიტორიებზე კეთილმოეწყო ვიზიტორთა 1 ცენტრი და 2020 წლის სამიზნე მაჩვენებელს წარმოაგენდა დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა 1 ცენტრის და საგამოფენო სივრცის მოწყობა, ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით დაცულ ტერიტორიებზე კეთილმოეწყო ვიზიტორთა 1 ცენტრი და საგამოფენო სივრცე (ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ხარაგაულის ვიზიტორთა

ცენტრი. 2020 წლის სამიზნე მაჩვენებელს წარმოადგენდა 8 ეკოტურისტული ბილიკის მოწყობა, მოეწყო 8 ეკოტურისტული ბილიკი (ბორჯომ-ხარაგაულის დაცულ ტერიტორიებზე - 6, აჯამეთის აღკვეთილში - 1 და სათაფლიაში - 1). 2020 წლის სამიზნე მაჩვენებელს წარმოადგენდა 2 ადმინისტრაციული შენობის განახლება - განახლდა მტირალას ეროვნული პარკის და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციული შენობები.

2020 წლის სამიზნე მაჩვენებელს წარმოაგენდა დამატებით ერთი დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციისთვის მენეჯმენტის გეგმის მომზადება, 2020 წელს დამტკიცდა ალეგთის ეროვნული პარკის მენეჯემენტის გეგმა.

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა	საბიუჯეტო კოდი	2020 წელი		
		სამიზნე მაჩვენებელი (ათასი ლარი)	ფაქტობრივი შესრულება (ათასი ლარი)	შესრულება (%)
1.8.2. საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემების ჩამოყალიბება და მართვა	31 09-31 09 01-11-09-04	1,385	1,385	100
1.8.3. საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარება CNF	31 09 04	2,861	2,246	78.54

პრიორიტეტი 2: მცირე და საშუალო საწარმოების, ეკონომიკის ზრდაზე ორიენტირებული სექტორებისა და ექსპორტის მხარდაჭერა

<u>ღონისძიება 2.1 საწარმოების, მათ შორის, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების მხარდაჭერა</u>

„აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამა მიზნად ისახავს საქართველოში კერძო სექტორის განვითარებას, ფინანსებსა და ტექნიკურ მხარდაჭერაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას. სახელმწიფო პროგრამის **ფინანსებზე ხელმისაწვდომობის მიმართულება** მოიცავს მონაწილე კომპანიების მიერ ბიზნესის განვითარებისთვის მიღებულ კომერციულ სესხზე და/ან ლიზინგის ობიექტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას.

2020 წელს, მსოფლიოში პანდემიის მიერ გამოწვეული შეზღუდვების საპასუხოდ, პროგრამის დიზაინში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. კერძოდ, კომერციული ბანკის მიერ დამტკიცებული სესხის ან სალიზინგო კომპანიის მიერ გაცემული ლიზინგის საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრა, როგორც ეროვნული ბანკის რეფინანსირების საპროცენტო განაკვეთს დამატებული, შესაბამისად, 3% და 5%. ასევე, თანადაფინანსების პერიოდი გაიზარდა 24-დან 36 თვემდე. პროგრამის ფარგლებში დასაშვები სესხის ოდენობა და ლიზინგის საგნის ღირებულება კი გაიზარდა 5-დან 10 მლნ ლარამდე. აღნიშნული ცვლილებები ძალაში დარჩება 2021 წლის 31 მაისის ჩათვლით.

აღნიშნული მიმართულებით 2020 წლის განმავლობაში 50 ბიზნეს-პროექტმა მიიღო მხარდაჭერა საწარმოების მიმართულებით (თბილისის გარდა). ინდუსტრიული მიმართულების (წარმოება) პროექტების ფარგლებში, განსახორციელებელი ჯამური ინვესტიციის მოცულობა აღემატება 113 მლნ. ლარს. პროგრამის მეშვეობით კომერციული ბანკების მიერ მოხდა 98.2 მლნ. ლარზე მეტი კომერციული სესხის დამტკიცება. შედეგად სესხების ბენეფიციარები დამატებით შექმნიან 3 761 ახალ სამუშაო ადგილს.

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის ინდუსტრიული მიმართულების ბენეფიციარები, სახელმწიფო პროგრამაში ცვლილებების შესვლამდე, სააგენტოს მხრიდან ფინანსურ მხარდაჭერას იღებდნენ 2 წლის განმავლობაში, შესაბამისად, 2020 წლის განმავლობაში, ასევე ხდებოდა იმ ბენეფიციარების მხარდაჭერა, რომელთა სახელმწიფო პროგრამაში ჩართვიდან 24 თვე არ იყო გასული. შედეგად, 2020 წლის განმავლობაში, სესხის პროცენტის თანადაფინანსების თანხა ირიცხებოდა 81 რეგიონულ პროექტში. საერთო ჯამში გადარიცხულმა თანხამ 5.15 მლნ ლარი შეადგინა.

სახელმწიფო პროგრამის – საკრედიტო საგარანტიო სქემის მიზანია, ფინანსებზე წვდომის გაუმჯობესება იმ მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის, რომელთაც არ აქვთ შესაძლებლობა, დააკმაყოფილონ სესხის უზრუნველყოფაზე არსებული მოთხოვნები (სრულად ან ნაწილობრივ), ეკონომიკის დაკრედიტების ხელშეწყობა და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა, მათ შორის, COVID-19

პანდემიით გამოწვეული უარყოფითი ეკონომიკური გავლენის შემცირება და ეკონომიკური გაჯანსაღების ხელშეწყობა. პანდემიით გამოწვეული უარყოფითი შედეგების შესამცირებლად, 2020 წელს სქემის ბიუჯეტი 20 მილიონი ლარიდან 330 მილიონ ლარამდე გაიზარდა. ახალ სესხებზე კი გაიზარდა გარანტირებული თანხების მოცულობა - ძირი თანხის 70%-დან 90%-მდე. ბანკების გარდა, ფინანსურ ინსტიტუტებს დაემატა მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და დასაშვები გახდა კომერციულ ბანკებში სახელმწიფო პროგრამის გარეთ გაცემული სესხის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში რესტრუქტურიზებისა და რეფინანსირების განხორციელება.

საკრედიტო საგარანტიო სქემის ფარგლებში 2020 წელს, თბილისის გარდა, რეგიონებში დამტკიცდა 87 სესხი საწარმოებზე. სესხების მოცულობამ შეადგინა 74.73 მლნ ლარი და პროექტების ფარგლებში დასაქმდა 354 ადამიანი.

2020 წელს, „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში რეგიონულ ჭრილში საწარმო პროექტებთან დაკავშირებით გაფორმებულ ხელშეკრულებებზე ყველაზე მეტი თანხა **სუბსიდიის სახით** გაიცა ქვემო ქართლში (1.77 მლნ ლარი), მცხეთა მთიანეთსა (0.85 მლნ ლარი) და გურიაში (0.51 მლნ ლარი) მდებარე საწარმოებზე. **საკრედიტო საგარანტიო სქემის** ფარგლებში რეგიონების მიხედვით, ყველაზე მეტი თანხა გაიცა შემდეგ რეგიონებში: კახეთი (3.01 მლნ ლარი), იმერეთი (2.17 მლნ ლარი) და სამეგრელო-ზემო სვანეთი (1.54 მლნ ლარი).

2020 წელს რეგიონებში არსებულ 50 საწარმო პროექტიდან 20 იყო ახალი, რაც ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული საწარმოები მიმდინარე ეტაპზე მშენებარეა. მათი ეკონომიკური აქტივობიდან სარგებელს სახელმწიფო 2022-2024 წლებში მიიღებს, ხოლო საკრედიტო-საგარანტიო სქემის ბენეფიციარების შემთხვევაში - 2021-2022 წლებში.

2020 პანდემიამ ზარალი მიაყენა მსოფლიოს ეკონომიკას, დაზარალდა როგორც გლობალური კორპორაციები, ასევე მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესი. შესაბამისად, პანდემიით გამოწვეული უარყოფითი ეკონომიკური გავლენის შემცირება გახდა **მიკრო, მცირე და საშუალო გრანტების პროგრამის** ახალი და ძირითადი მიზანი. აღნიშნული პროგრამა მოიცავს ტრენინგების ჩატარების და გრანტების ნაწილს.

2020 წელს, მიკრო და მცირე გრანტების სახელმწიფო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, გაფართოვდა ბიზნესის ოპერირების ლოკაციები და პროგრამამ მოიცვა მთელი ქვეყნის ტერიტორია. 20 ათასი ლარიდან 30 ათას ლარამდე გაიზარდა საგრანტო თანხების მაქსიმალური მოცულობა. შემცირდა პროგრამის ახალი ბენეფიციარებისთვის თანამონაწილეობის წილი 20%-დან 10%-მდე, ხოლო არსებული ბენეფიციარებისთვის 50%-დან 25%-მდე. ასევე, განთავსების საშუალებებსა და ტურისტულ სერვისებზე ორიენტირებულ პროექტებს მიენიჭა პრიორიტეტი, და პროგრამამ 300-ზე მეტი საქმიანობის მიმართულების დაფინანსება მოიცვა.

მიკრო და მცირე გრანტების სახელმწიფო პროგრამა გამოცხადდა 2020 წლის 5 ოქტომბერს და პროგრამის ფარგლებში, თბილისს გარდა, დარეგისტრირდა 20 436 განაცხადი, აქედან ტრენინგების ეტაპზე გადავიდა 2 938 მეწარმე. პროგრამა მიმდინარეობდა 2020 წელს, ხოლო 2021 წელის II კვარტალში გამოვლინდებიან გამარჯვებული ბენეფიციარები. შესაბამისად, 2020 წელს პორგრამა არ დასრულებულა, კერძროდ გრანტების გაცემის ნაწილში.

რეგიონულ ჭრილში, პროგრამის ფარგლებში, ტრენინგების ეტაპზე გადასული მეწარმეების რაოდენობის მიხედვით ლიდერობენ იმერეთი (585 მეწარმე), ქვემო ქართლი (468 მეწარმე) და სამეგრელო-ზემო სვანეთი (396).

2020 წელს პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში ტექნიკური დახმარების (TA) კომპონენტით იმერეთის რეგიონში მდებარე ერთმა საწარმომ ისარგებლა, ჯამში 10 ათასი ლარის ღირებულების ტექნიკური დახმარებით. ტექნიკური მხარდაჭერის კომპონენტის მეშვეობით ხდება ტრენინგების ანაზღაურება, რაც მნიშვნელოვანია კომპანიების ადამიანური რესურსის განვითარებისთვის.

კინოინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, 2020 წელს დარეგისტრირდა მხოლოდ 1 პროექტი, რადგანაც დაიწყო პროგრამის დახვეწის პროცესი და პროგრამა დროებით შეჩერდა. კვალიფიციური ხარჯების 20% აუნაზღაურდა წინა წლების (2018-2019) 8 პროექტს, რამაც ჯამურად 7.21 მლნ ლარი შეადგინა.

მყისიერი შედეგების მაჩვენებლები

	2020 წელი		
ინდიკატორი	**საზომი ერთეული**	**სამიზნე ღირებულება**	**2020**
მხარდაჭერილი მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ბიზნეს პროექტების რაოდენობა	რაოდენობა	120	137
მოდერნიზებული საწარმოების რაოდენობა (რეგიონების მიხედვით)	რაოდენობა	40	30
ახლად შექმნილი საწარმოების რაოდენობა (რეგიონების მიხედვით)	რაოდენობა	20	20

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა	**საბიუჯეტო კოდი**	**2020 წელი**		
		სამიზნე მაჩვენებელი (ათასი ლარი)	**ფაქტობრივი შესრულება (ათასი ლარი)**	**შესრულება (%)**

2.1.1. მცირე და საშუალო საწარმოებისათვის დაფინანსების ხელმისაწვდომობის გაზრდა, მათ შორის სასტუმროების ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტი	24 07 02	16,500	14,538	88.11
2.1.4. კინოინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობა	24 07 02	7,208	7,208	100

<u>ღონისძიება 2.2 ინოვაციების ხელშეწყობა</u>

- 2020 წლის 21 მაისს, ზუგდიდის (სამეგრელო-ზემო სვანეთის) ტექნოპარკისა და მეცნიერების, განათლებისა და ინოვაციური ტექნოლოგიების აკადემიის ორგანიზებით, გაიმართა ონლაინ ვებინარი თემაზე STEM-ის მნიშვნელობა სკოლებში;
- შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მხარდაჭერით, ჩატარდა ტრენინგები რეგიონალურ ტექნოპარკებში სახელწოდებით: „დაიწყე და განავითარე შენი ბიზნესი“, რომელსაც ჯამში 100-მდე ადამიანი დაესწრო;
- ბაკურიანში (სამცხე-ჯავახეთი) გაიმართა ინოვაციური სტარტაპების ბანაკი სტუდენტებისთვის. ბანაკის ორგანიზატორია საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო. ბანაკი მსოფლიო ბანკის ,,ეროვნული ინოვაციური ეკოსისტემის“ პროექტის ფარგლებში განხორციელდა.
- ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ საქართველოს 11 უმაღლეს სასწავლებელსა და რეგიონში GITA - ს ინოვაციური ცენტრების პრეაქსელერატორის მენეჯერებისთვის გადამზადების კურსი ჩაატარა.
- გრაფიკული დიზაინის რიგით მე-4 კურსი საქართველოს რეგიონებში საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსა და ჯეოლაბის ერთობლივი თანამშრომლობით ქვეყნის 9 სამიზნე რეგიონში ჩატარდა. მსოფლიოში არსებული პანდემიური მდგომარეობიდან გამომდინარე, კურსი დაიგეგმა და ჩატარდა მთლიანად დისტანციურად. ონლაინ კურსების ფარგლებში, ბენეფიციარებს ჰქონდათ შესაძლებლობა ესწავლათ გრაფიკული დიზაინის საფუძვლები. სულ 260 მოსწავლე ჩაერთო პროექტში, მთელი საქართველოს მასშტაბით, აქედან, 200-მდე ბენეფიციარმა, კურსი სრულად გაიარა. ხოლო, 150-ზე მეტმა მოსწავლემ გააკეთა ფინალური ნამუშევარი, რომელიც წარადგინა ონლაინ პრეზენტაციაზე და მიიღო სერტიფიკატი.
- ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ 2020 წლის დეკემბერში, ციფრული ინდუსტრიის აკადემიასთან ერთად, თბილისსა და საქართველოს 8 რეგიონში გადამზადების ახალი პროგრამა განახორციელა. პროექტის ფარგლებში, რეგიონებში მცხოვრებმა ახალგაზრდებმა გაიარეს სოციალური მედიის მენეჯმენტისა და ქოფირაითინგის ერთობლივ კურსი.
- ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მხარდაჭერით განხორციელდა პროექტი „როგორ შევქმნათ სტარტაპი“. პროექტი რეგიონში მცხოვრები უფროსკლასელი მოსწავლეებისათვისა და სტუდენტებისათვის იყო განკუთვნილი და მასში 170 ახალგაზრდა მონაწილეობდა. ტრენინგები მიმდინარეობდა სამეგრელო-ზემო სვანეთში (42 მონაწილე), კახეთში (38

მონაწილე), აჭარაში, გურიასა (50 მონაწილე) და ქვემო ქართლში.(40 მონაწილე). პროექტი ,,როგორ შევქმნათ სტარტაპი“ განხორციელდა Kings Georgia - სთან ერთად.

- 2020 წლის დეკემბერში საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონში, „Novel Technology"-სთან პარტნიორობით, განახორციელა 10 დღიანი უფასო მოსამზადებელი კურსი, პროგრამირებისა და ტექნოლოგიების საფუძვლებში. ინტენსიური ტრენინგ-კურსი გაიარა 30-მდე ახალგაზრდამ, რაჭის რეგიონიდან.

2020 წელს აღნიშნულმა ღონისძიებამ ხელი შეუწყო საკვანძო ინოვაციური პროდუქტებისა და პროექტების გაჩენას, გაძლიერდა რეგიონებში არსებული სტარტაპ საზოგადოება; ხელი შეეწყო სტარტაპების მიერ საერთაშორისო ბაზრებზე თავის დამკვიდრებას და კერძო ინვესტიციების მოზიდვას. რეგიონებში წარმატებით განხორციელდა ტრენინგები და კვალიფიკაციის ასამაღლებელი სხვა ღონისძიებები.

საქართველოს მასშტაბით **ტრენინგებისა და სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზების ქვეღონისძიების** ფარგლებში, საქართველოს სხვადასვა რეგიონში იქნა ათვისებული: „როგორ შევქმნათ სტარტაპის ფარგლებში“, ტრენინგები მიმდინარეობდა სამეგრელო ზემო სვანეთში (42 მონაწილე), თელავში (კახეთი) (38 მონაწილე), აჭარაში, გურიასა (50 მონაწილე) და ქართლში (40 მონაწილე). საერთო ჯამში, მონაწილეებისთვის ჩატარდა 8 ტრენინგ-კურსი და 170 მონაწილემ შეძლო კურსის სრულად და წარმატებით გავლა. ICT მოსამზადებელი კურსები, დისტანციურად, რეგიონალური ცენტრების ჩართულობით გაიმართა: საქართველოს 6 რეგიონში არსებულ ინოვაციურ ცენტრებსა და ჰაბებში: კასპში, რუხში (ქვემო ქართლი), ზუგდიდში (სამეგრელო ზემო სვანეთი), თელავში, ახმეტაში, გურჯაანში (კახეთი), ლანჩხუთში, ოზურგეთში (გურია), ამბროლაურში (რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი). ჯამში გადამზადდა 350-ზე მეტი ახალგაზრდა რეგიონებიდან.

2020 წელს **ინოვაციების ინფრასტრუქტურის შექმნის ქვეღონისძიების ფარგლებში** გაიხსნა გურჯაანისა (კახეთი) და კასპის (შიდა ქართლი) ინოვაციის ცენტრები. რეგიონალური ინოვაციის ჰაბებისა და ინოვაციის ცენტრების მთავარი მიზანი არის ქვეყანაში ინოვაციური პროდუქტების და მომსახურების შექმნის ხელშეწყობა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ამ კუთხით სხვადასხვა ტრენინგების ჩატარების მეშვეობით.

ინოვაციების თანადაფინანსების ქვეღონისძიების ფარგლებში 2020 წელს 66 სტარტაპზე (დაგეგმილი 60-ს მაგივრად) გაეცა წილობრივი გრანტები 3,7 მილიონი ლარის ოდენობით.

მყისიერი შედეგების მაჩვენებლები

	2020		
ღონისძიება	ერთეული	სამიზნე ინდიკატორი	შედეგი
განვითარებული ინოვაციების ინფრასტრუქტურა; შექმნილი/აღჭურვილი რეგიონული ინოვაციების ჰაბები და ინოვაციის ცენტრების რაოდენობა	რაოდენობა	3	3
მხარდაჭერილი საწარმოების/სტარტაპების რაოდენობა	რაოდენობა	172	106
ორგანიზებული ტრეინინგებისა და ღონისძიებების რაოდენობა	რაოდენობა	300	201

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა	საბიუჯეტო კოდი	2020 წელი		
		სამიზნე მაჩვენებელი (ათასი ლარი)	ფაქტობრივი შესრულება (ათასი ლარი)	შესრულება (%)
2.2.1. საქართველოში ინოვაციების და ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა	24 08 02	2,500	2,388	95.52
2.2.1.2 ფინანსებზე წვდომის უზრუნველყოფა (მათ შორის მიკრო-გრანტების პროგრამის განხორციელება)	24 08 02	1,700	1,647	96.88
2.2.1.3 საქართველოს მასშტაბით ტრენინგებისა და სხვადასხვა ღონისძიების ორგანიზება	24 08 02	400	387	96.75
2.2.2 საქართველოს ეროვნული ინოვაციური ეკოსისტემის განვითარება (IBRD)	24 12	400	354	88.50
2.2.2.1. ინოვაციების ინფრასტრუქტურის შექმნა; მიზანშეწონილობის კვლევის შედეგად შერჩეულ საქართველოს მუნიციპალიტეტებში (თავდაპირველად 8 საპილოტე მუნიციპალიტეტი. პროექტის დასასრულისთვის რიცხვმა უნდა მიაღწიოს12 მუნიციპალიტეტს) რეგიონული ინოვაციების ჰაბებისა და/ან ინოვაციების ცენტრების რემონტი, აღჭურვა და მათი	24 12	20,551	20,551	100

ფუნქციონირების უზრუნველყოფა.				
2.2.2.2 ინოვაციების სერვისების განვითარება	24 12	9,000.00	6,737.00	74.86
2.2.2.3 ინოვაციების თანადაფინანსება, მ.შ. სტარტაპების საგრანტო თანადაფინანსება, არსებული საწარმოების ინოვაციური საქმიანობის თანადაფინანსება, ინოვაციების დაფინანსების სხვადასხვა სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.	24 12	8,868.00	8,868.00	100

<u>ღონისძიება 2.3 სტრატეგიული სექტორების მხარდაჭერა: ტურიზმი</u>

ამ ღონისძიებების განხორციელებაზე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა COVID-19 პანდემიით გამოწვეულმა შეზღუდვებმა. შედეგად, ღონისძიებების უმეტესობა გადაიდო ან გაუქმდა, თუმცა ზოგიერთის ჩატარება მაინც მოხერხდა.

2020 წელს განხორციელდა 19 პრეს და 2 გაცნობითი ტური მსოფლიოს სხვადასხვა მიზნობრივი ქვეყნიდან. მონაწილეობდა შესაბამისად 90-მდე პრესის წარმომადგენელი და 11 ტუროპერატორი.

ქვეყნის პოპულარიზაციისა და საქმიანი კონტაქტების დამყარების მიზნით, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია 2020 წელს წარდგენილი იყო საპრეზენტაციო სტენდით 8 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენა-ბაზრობებზე:

- Vakantiebeurs, ჰოლანდია, უტრეხტი, 16-19 იანვარი;
- Ferien-Messe Viena ვენა, ავსტრია, 16-19 იანვარი;
- Matka, ჰელსინკი, ფინეთი 16-19 იანვარი;
- FITUR, მადრიდი, ესპანეთი 22-26 იანვარი;
- Balttour, რიგა, ლატვია - 31 იანვარი - 2 თებერვალი;
- New York Times Travel Show, ნიუ იორკი, აშშ, 24-26 იანვარი;
- EMITT სტამბული, თურქეთი, 30 იანვარი - 2 თებერვალი;
- IMTM თელავივი, ისრაელი, 11-12 თებერვალი;

ღონისძიებებზე ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციის ერთიან სტენდზე მონაწილეობდნენ ადგილობრივი კერძო სექტორის წარმომადგენლები: ტურისტული კომპანიები, სასტუმროები, ავიაკომპანიები.

2020 წელს საქართველოს მასშტაბით ადგილობრივ მედიაში სხვადასხვა მიმართულებისა და პროდუქტების პოპულარიზაციისა და შიდა ტურისტული ნაკადების სტიმლურების მიზნით ჩატარდა 11 პრეს-ტური.

საქართველოს ეროვნული მნიშვნელობის არამატერიალური კულტურული რესურსების პოპულარიზაციისა და გასტრონომიული ტურიზმის განვითარების მიზნით, ჩატარდა გასტრო ტურები სვანეთში, გურიაში, თუშეთსა და რაჭაში.
2020 წელს განხორციელებული 11 პრეს- ტური ქვეყნის მასშტაბით:

- პრეს-ტური გუდაურში 24-26 იანვარი;
- პრეს-ტური რაჭასა და აჭარაში 1-7 ივნისი;
- „საიმედო ტური“ სვანეთში 19-21 ივნისი;
- პრეს-ტური სვანეთსა და გურიაში 23 ივნისი-4 ივლისი;
- პრეს-ტური შიდა ქართლში 25-26 ივნისი;
- „საიმედო ტური“ იმერეთში 27-28 ივნისი;
- პრეს-ტური სამცხე-ჯავახეთში 4-10 აგვისტო;
- პრეს-ტური კახეთში 4-10 სექტემბერი;
- „საიმედო ტური“ რაჭაში 14-16 აგვისტო;
- პრეს-ტური იმერეთში 21-23 აგვისტო;
- პრეს-ტური შიდა ქართლში 22-27 სექტემბერი.

რეკლამისა და მარკეტინგული ქვეღონისძიების ფარგლებში ჩატარდა შემდეგი აქტივობები:

- CNN - 1 იანვარი - 29 თებერვალი
  საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით, საერთაშორისო პლატფორმაზე CNN განხორციელდა საინფომოციო კამპანია. კამპანია მოიცავდა საერთაშორისო პლატფორმის სხვადასხვა განთავსების არხს, მათ შორის სატელევიზიო, ონლაინ (ვებ-გვერდები და სოციალური ქსელები).

მარკეტინგული კამპანიები მიზნობრივ ბაზრებზე:

- ინტეგრირებული მარკეტინგული კამპანია ქუვეითში 2020 წლის 15 დეკემრიდან - 15 მარტი
  ქუვეითში განხორციელდა ინტეგრირებული მარკეტინგული კამპანია, რომელიც მოიცავდა ქვეყნის საპრომოციო ვიდეო რგოლების განთავსებას ადგილობრივ კინოთეატრებში. ასევე, განხორციელდა ონლაინ კამპანია სოციალური ქსელების საშუალებით Facebook, Instagram, Snapchat. სარეკლამო ბანერების განთავსება ხდებოდა საძიებო სისტემებში და Youtube-ის პლატფორმაზეც;
- ვირტუალური ტურისტული გამოფენა Re-Think Trade Show – 2020 წლის 9-12 ნოემბერი
  გამოფენა გათვლილი იყო ამერიკის შეერთებული შტატების ტურისტულ ბაზარზე, თუმცა მას ასევე დაესწრნენ ბაიერები ევროპისა და აზიის სხვადასხვა ქვეყნებიდანაც. გამოფენაზე დარეგისტრირებული იყო 500-ზე მეტი საერთაშორისო ბაიერი და 85-ზე მეტი მონაწილე (Exhibitor).Re-Think Trade Show-ზე საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია წარმოდგენილი იყო ვირტუალური საგამოფენო სივრცის მეშვეობოთ, სადაც განთავსდა ქვეყნის საპრომოციო მასალა: ბროშურები, ფოტო-ვიდეო მასალა, ტურისტული პოტენციალის ამსახველი პრეზენტაცია და სხვა;

- ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ კერძო სექტორის ხელშეწყობისა და ტურისტული ნაკადების სტიმულირების მიზნით გუდაურში (მცხეთა მთიანეთი) 22 იანვრიდან-5 თებერვლამდე ჩაატარა ღონისძიება „ფასდაკლების კვირეული“.

  განხორციელდა ფოტო პროექტი, „ფოტოგრაფები საქართველოსთვის“ რომელიც ითვალისწინებს საზოგადოების ჩართულობას საქართველოში არსებული ტურისტული ადგილების პოპულარიზაციაში. პროექტის მიზანია როგორც შიდა ტურიზმის სტიმულირება, ასევე საერთაშორისო ბაზარზე ვიზუალური მასალის გატანა. კონკურსის შედეგად მოხდა ქვეყანაში მოღვაწე 300-მდე ფოტოგრაფის ჩართვა და მათი დაინტერესება.

ტურისტული პროდუქტების განვითარების მიმართულებით ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:

- სალაშქრო ბილიკების ქსელის განვითარება სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონში;
- სალაშქრო ბილიკების ქსელის განვითარება მთიანი გურიის ნაწილში;
- სალაშქრო ბილიკების ქსელის ინტერნეტ პლათფორმაზე განთავსება

  წლის მარკირებული გურიისა და სვანეთის ბილიკების ქსელი- ინფორმაცია განთავსდა საერთაშორისო სალაშქრო ბილიკების პლათმორმაზე www. Wikiloc.com;
- ღვინის გზის ქსელის გაფართოვება - ახალი ობიექტების ჩართვა.

2020 წლის განმავლობაში ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში შემოსული განაცხადების ანალიზისა და ინვენტარიზაციის საფუძველზე მომზადდა ქსელის გაფართოვების პროექტი. მომზადებული პროექტის მიხედვით განხორციელდა სამუშაოები. ქსელში დაემატა 61 ახალი მასპინძელი ობიექტი, რომელიც 8 რეგიონს მოიცავს.

სამეგრელო ზემო-სვანეთსა (მესტიაში) და გურიაში განხორციელდა ბილიკების მარკირება, ხოლო ქვემო ქართლში (დმანისში) - გაკეთდა საპიკნიკე ინფრასტრუქტურა.

პროექტ „ღვინის გზის“ მორიგი განახლების ფარგლებში განხორციელდა ახალი ობიექტების მანიშნებლების მონტაჟი 8 რეგიონში: კახეთში, ქვემო ქართლში, შიდა ქართლში, იმერეთში, სამეგრელში, მცხეთა მთიანეთსა და რაჭა- ლეჩხუმი ქვემო სვანეთში. ამასთან, აღსანიშნავია, აქტივობა (მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა), სადაც სსიპ „აწარმოე საქართველოში“ თავის მხრივ, აქვს შესრულება, კერძოდ, 2020 წლის განმავლობაში სესხის პროცენტის თანადაფინანსების თანხა ირიცხებოდა 137 რეგიონულ სასტუმრო პროექტში. საერთო ჯამში, გადარიცხულმა თანხამ 9.26 მლნ ლარი შეადგინა.

მომსახურების ხარისხის განვითარების კუთხით, ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა 6 ტრენინგი, გადამზადდა 1650-მდე ადამიანი. უნდა აღინიშნოს, რომ პანდემიით გამოწვეული შეზღედვების გამო, ზოგი ღონისძიება გაუქმდა ან გადაიდო.
ტრენინგების თემები:

1. სამედიცინო ტურიზმი;
2. ჰიგიენა და სურსათის უვნებლობა;
3. როგორ დავნერგოთ COVID-19 - თან დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები განთავსებისა და კვების ობიექტებში;
4. ციფრული უნარების სრულყოფა ტურისტული ბიზნესის განსავითარებლად;
5. რეგიონებში ტურისტული შეთავაზებების გაყიდვების ხელშეწყობის პროგრამა 2020 (ჩატარდა გურიასა და იმერეთის რეგიონებში);
6. COVID-19-თან დაკავშირებული რეგულაციები გიდებისათვის (ონლაინ ტრენინგი).

პროექტ "Check-in Georgia"-ს ფარგლებში, 2020 წლის 21 აგვისტოდან 23 აგვისტოს ჩათვლით გაიმართა მხოლოდ 1 ღონისძიება: „შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალი“ აჭარაში, ასევე მიმდინარეობდა სხვა პროექტების დაფინანსების განხილვსი საკითხიც, თუმცა მსოფლიოში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, მსგავსი ტიპის ღონისძიებები დროებით შეჩერდა. ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ ტურიზმის სექტორისთვის პანდემიის ნეგატიური გავლენის შესამსუბუქებლად, რიგი ღონისძიებები გაატარა, მათ შორის განთავსების საშუალებების გამოყენება საკარანტინო მიზნებისთვის. პროექტის ფარგლებში 10 მარტიდან დღემდე ჩართული იყო სულ 220 სასტუმრო, 11 744 ოთახი, 3644 დასაქმებული პირი. ასევე მნიშვნელოვანი შედეგები მოიტანა პროგრამამ „იმუშავე საქართველოდან“.

მყისიერი ინდიკატორების ცხრილი

მყისიერი შედეგების ინდიკატორი	საზომი ერთეული	2020 წელი	
		სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
ტურისტული სექტორის გადამზადებულ თანამშრომელთა რაოდენობა	რაოდენობა	1500	1650
ტურიზმის მარკეტინგული ღონისძიებების რაოდენობა	რაოდენობა	211	26
ახალი ტურისტული პროდუქტების რაოდენობა	რაოდენობა	3	3
მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის პროექტების რაოდენობა	რაოდენობა	3	2

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

		2020 წელი		
პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა	საბიუჯეტო კოდი	სამიზნე მაჩვენებელი (ათასი ლარი)	ფაქტობრივი შესრულება (ათასი ლარი)	შესრულება (%)
2.3.1. საერთაშორისო ტურისტული გამოფენა-ბაზრობები და პრეს და ინფო ტურები	24 05 02	4,000	2,239	55.98

2.3.2. რეკლამა და მარკეტინგული კამპანიები/აქტივობები	24 05 02	15,684	596	3.80
2.3.3. ტურისტული პროდუქტების განვითარება	24 05 02	350	183	52.46
2.3.4. მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა	24 05 02	1,250	336	26.92
2.3.5 ტურიზმის სფეროში ხარისხის განვითარება	24 05 02	400	167	41.80
2.3.6. პროექტი "Ckeck-in Georgia"	24 05 02	50	50	100.00

<u>ღონისძიება 2.4. სტრატეგიული სექტორების მხარდაჭერა: სოფლის მეურნეობა</u>

2020 წელს პანდემიამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია **მეღვინეობის დარგზე**, ვინაიდან ჩავარდა ტურისტული სეზონი, რასაც მოჰყვა მოხმარების შემცირება. თუმცა ღვინის სააგენტო აგრძელებდა მუშაობას და ჩაატარა გარკვეული აქტივობები.

2020 წ. 10-12 თებერვალს ქართული ღვინო წარმოდგენილი იყო საერთაშორისო გამოფენაზე „VinExpo Paris“. ხოლო 2-3 მარტს - „Vinexpo New York“-ში.
2020 წელს ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზრებზე გაიმართა 42 დეგუსტაცია/სემინარი, როგორც ონლაინ, ისე პირდაპირ ფორმატში.

საანგარიშო პერიოდში საქართველოდან მსოფლიოს 60 ქვეყანაში 92,4 მლნ-მდე ბოთლი (0,75 ლ) ღვინო იყო ექსპორტირებული, რაც 2019 წლის რაოდენობაზე მხოლოდ 1%-ით ნაკლებია. ექსპორტირებული ღვინის ღირებულებამ 216,5 მლნ აშშ დოლარს შეადგინა, რაც 2019 წლის ანალოგიურ მონაცემზე 9%-ით ნაკლებია. მთლიანად ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, საბრენდე სპირტისა და ჩამოსასხმელი ბრენდის ექსპორტის შედეგად მიღებულია 336 მლნ აშშ დოლარი, რაც 5%-ით ნაკლებია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე.

2020 წლის **აგროდაზღვევის** პროგრამაში შევიდა შემდეგი ცვლილება:

- პროგრამა გახდა 3-წლიანი;
- მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების შემთხვევაში ფერმერებს მიეცათ საშუალება შეიძინონ მრავალწლიანი სადაზღვევო პოლისი.

2020 წლის აპრილი-მაისის თვეებში გაფორმდა ხელშეკრულებები 8 სადაზღვევო კომპანიასთან.

2020 წელს დაგეგმილი იყო დაახლოებით 16,500 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის დაზღვევა, ხოლო დაზღვეული ფართობის მოცულობამ 18,178 ჰა შეადგინა. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის დაზღვევის მიზნით სულ გაიცა 17,881 პოლისი.

აგროდაზღვევის პროგრამის საანგარიშო პერიოდის მონაცემები რეგიონების ჭრილში

რეგიონი	პოლისების რაოდენობა	ბენეფიციარების რაოდენობა	დაზღვეული მოსავლის ფართობი (ჰა)	დაზღვეული მოსავლის ღირებულება (ლ)	სააგენტოს თანადაფინანსება (ლ)
აჭარა	1,347	1,042	298.74	2,671,526	262,757
გურია	93	73	43.81	259,605	15,810
თბილისი	2	2	0.17	608	31
იმერეთი	190	165	130.85	694,435	33,678
კახეთი	9,745	4,321	9,746.58	81,041,479	3,852,891
მცხეთა-მთიანეთი	28	20	37.35	150,743	8,390
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	16	13	3.69	15,927	708
სამეგრელო-ზემო სვანეთი	684	599	597.52	3,476,857	147,697
სამცხე-ჯავახეთი	722	307	730.67	7,093,588	416,870
ქვემო ქართლი	689	446	3,272.22	8,855,654	450,014
შიდა ქართლი	4,366	2,159	3,315.95	57,697,144	3,232,560
სულ	**17,881**	**9,141**	**18,177.55**	**161,957,565**	**8,421,407**

გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების მიმართულებით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შეიქმნა 1 გადამამუშავებელი და 9 შემნახველი საწარმო. ამასთან, დაიწყო 6 ახალი გადამამუშავებელი საწარმოს შექმნა.

საანგარიშო პერიოდის გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის მონაცემები რეგიონების ჭრილში

კომპონენტი/რეგიონი	ბენეფიციარების რაოდენობა	თანადაფინანსება (ლარი)	ჯამური ინვესტიცია (ლარი)
გადამამუშავებელი	**6**	**3,347,593**	**7,659,340**
აჭარა	2	1,200,000	2,553,339
კახეთი	1	347,593	695,186
მცხეთა-მთიანეთი	1	600,000	1,285,843
ქვემო ქართლი	1	600,000	1,974,972
შიდა ქართლი	1	600,000	1,150,000
შემნახველი	**10**	**5,724,422**	**11,655,527**
იმერეთი	1	600,000	1,350,477
კახეთი	1	565,000	1,130,000
ქვემო ქართლი	1	600,000	1,214,967
შიდა ქართლი	7	3,959,422	7,960,083
სულ	**16**	**9,072,015**	**19,314,867**

2020 წელს, **მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის** ფარგლებში დაგეგმილი იყო 7 კოოპერატივის აღჭურვა თაფლის წარმოებისთვის საჭირო ხელსაწყო/დანადგარებით. გაფორმდა 6 ხელშეკრულება და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის სააგენტოს თანადაფინანსების ოდენობამ დამტკიცებულ პროექტებში შეადგინა 79,7 ათასი ლარი, ხოლო 7 კოოპერატივი აღიჭურვა თაფლის წარმოებისთვის საჭირო ხელსაწყო/დანადგარებით.

საანგარიშო პერიოდში მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის პროგრამის მონაცემები რეგიონების ჭრილში

რეგიონი	**ხელშეკრულებების რაოდენობა**	**ბენეფიციარების რაოდენობა**	**სააგენტოს თანადაფინანსება, ₾.**	**ინვესტიციის ჯამური მოცულობა, ₾.**
იმერეთი	5	5	67,100	92,000
კახეთი	1	1	12,600	18,000
სულ	**6**	**6**	**79,700**	**110,000**

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ინფრასტრუქტურის მხარდაჭერის პროგრამის მონაცემები რეგიონების ჭრილში

რეგიონი	**ხელშეკრულებების რაოდენობა**	**ბენეფიციარების რაოდენობა**	**სააგენტოს თანადაფინანსება, ₾.**	**ინვესტიციის ჯამური მოცულობა, ₾.**
მევენახეობა	**12**	**12**	**5,989,747**	**7,052,398**
კახეთი	12	12	5,989,747	7,052,398
რძე	**4**	**4**	**565,259**	**601,908**
გურია	1	1	122,759	129,220
კახეთი	1	1	150,000	157,898
სამცხე-ჯავახეთი	1	1	150,000	164,790
ქვემო ქართლი	1	1	142,500	150,000
სულ	**16**	**16**	**6,555,006**	**7,654,306**

2020 წელს შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტში ჩაერთო 2 საფინანსო ინსტიტუტი, რამაც უფრო გაზრდა ფერმერებისთვის იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრების მიღების საშუალება. 2020 წელს დაგეგმილი იყო 13,000 შეღავათიანი სესხისთვის/ლიზინგისათვის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება (მომსახურეობა). ბენეფიციარებისთვის გაიცა 7,152 სესხი, გაიხსნა და გადაიარაღდა/გაფართოვდა/მოდერნიზდა 76 ახალი და უკვე არსებული საწარმო. აქედან, გაიხსნა 4 ახალი საწარმო და სულ ახალ გახსნილ საწარმოებში განხორციელდა 3 მლნ ლარამდე ინვესტიცია (აქედან, შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში აღებული სესხი შეადგენს 1,8 მლნ ლარს, ბენეფიციარის საკუთარი სახსრები კი შეადგენს 1,2 მლნ ლარს).

შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის მონაცემები რეგიონების ჭრილში

რეგიონი	სესხების რაოდენობა	ბენეფიციარების რაოდენობა	ბანკების მიერ გაცემული სესხის ოდენობა, ₾.	სააგენტოს თანადაფინანსება (%-ის წილის დაფარვა), ₾.
აჭარა	22	19	3,545,426	961,556
გურია	106	89	6,706,773	1,269,392
თბილისი	33	30	20,017,790	2,906,929
იმერეთი	253	231	20,483,282	3,816,586
კახეთი	3,764	3,317	247,791,078	47,422,229
მცხეთა-მთიანეთი	96	87	9,837,086	3,255,293
რაჭა-ლეჩხუმი	34	26	8,325,515	1,121,983
სამეგრელო	339	281	37,079,123	6,294,664
სამცხე-ჯავახეთი	899	858	17,933,596	4,065,946
ქვემო ქართლი	608	555	70,147,565	8,791,348
შიდა ქართლი	998	850	61,701,862	11,440,539
სულ	**7,152**	**6,333**	**503,569,096**	**91,346,466**

მყისიერი ინდიკატორების ცხრილი

მყისიერი შედეგების ინდიკატორი	საზომი ერთეული	2020 წელი	
		სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
პროექტებში ჩართული ბენეფიციარების რაოდენობა პროექტების/პროგრამების ჭრილში	რაოდენობა	-	14,683
მხარდაჭერილი კოოპერატივების რაოდენობა	რაოდენობა	17	22

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა	საბიუჯეტო კოდი	2020 წელი		
		სამიზნე მაჩვენებელი (ათასი ლარი)	ფაქტობრივი შესრულება (ათასი ლარი)	შესრულება (%)
2.4.1. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ხელშეწყობა, სოფლის მეურნეობის დარგში ახალი საწარმოების შექმნა და არსებულის გაფართოება იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით, ლიზინგით, საპროცენტო სარგებლის თანადაფინასებით, სესხის უზრუნველყოფითა და აგროდაზღვევით	31 05 02; 31 05 03; 31 05 06; 31 05 07.	110,410	110,410	100
2.4.2. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობა	31 06 (გარდა 31 06 01, 31 06 05)	4,593	4,157	91
2.4.3. მეღვინეობის განვითარება	31 03 (გარდა 31 03 01, 31 03 04,	86,132	86,132	100

	31 03 03, 31 03 06)			
2.4.4. სოფლის მეურნეობის სხვა სექტორების განვითარება/დივერსიფიკაცია.	31 06 05; ნაწილი კოდებიდან - 56 08; 56 09	300	215	72

<u>ღონისძიება 2.5. ექსპორტის ხელშეწყობა</u>

2020 წელს „აწარმოე საქართველოში“ სააგენტომ უზრუნველყო 10 **საერთაშორისო გამოფენასა** და 9 ონლაინ შოურუმში 49 უნიკალური ქართული კომპანიის მონაწილეობა. სულ დაფიქსირდა 68 ბენეფიციარი კომპანიის თანადაფინანსება, რაც სამიზნე მაჩვენებელს აღემატება 4 ერთეულით და 6.25 პროცენტით, დაშვებული 20 პროცენტიანი ცდომილების გათვალისწინებით.

ქართველ მწარმოებლებთან უცხოელი მყიდველების დაკავშირების მიმართულებით, სააგნეტომ „აწარმოე საქართველოში“ 2020 წელს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის გამოყენებით, არაერთი უცხოელი შემსყიდველი დაკავშირება შეძლო ქართველ მეწარმეებთან. შედეგად, დაკავშირების 30-ზე მეტი ფაქტი დაფიქსირდა, რამაც ხელი შეუწყო სხვადასხვა პროდუქტის ექსპორტს სხვადასხვა ქვეყნაში, მათ შორის სააგენტოს ერთ-ერთმა ბენეფიციარმა განახორციელა კივის ექსპორტი იაპონიაში, ერთ-ერთმა ხილის და ბოსტნეულის ნატურალური წვენების ექსპორტი ისრაელში და ა.შ.
2020 წელს „აწარმოე საქართველოში“ სააგენტომ ექსპორტის მენეჯერთა სასერტიფიკატო კურსი თბილისში, თელავსა და ქუთაისში ვერ განახორციელა.

მყისიერი შედეგების მაჩვენებლები

მყისიერი შედეგების ინდიკატორი	საზომი ერთეული	2020	
		სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
ექსპორტის ხელშეწყობისა და ექსპორტის განვითარების მხარდამჭერი აქტივობების ბენეფიციარი კომპანიების რაოდენობა	რაოდენობა	80 (ექსპორტიორი კომპანია)	49 (ექსპორტიორი კომპანია) / 68 (კომპანიის თანადაფინანსების)
გადამზადებული ექსპორტის მენეჯერების რაოდენობა	რაოდენობა	70	0 (ვერ განხორციელდა)

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა	საბიუჯეტო კოდი	2020 წელი		
		სამიზნე მაჩვენებელი (ათასი ლარი)	ფაქტობრივი შესრულება (ათასი ლარი)	შესრულება (%)
2.5.2 საერთაშორისო გამოფენებისა და სავაჭრო მისიებზე ქართული კომპანიების მონაწილეობის ორგანიზება/თანადაფინანსება	24 07 02	1,140	864	75.84
2.5.5. საზღვარგარეთ ქართული ვაზისა და ღვინის	31 03 06 და 31 03 03	7,048	7,048	100

პოპულარიზაცია და ექსპორტის ხელშეწყობა				

<u>ღონისძიება 2.6 ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა</u>

საანგარიშო წლის მანძილზე, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით, პროექტ „აწარმოე საქართველოში“ ინფრასტრუქტურული მხარდაჭერის ფარგლებში ხელი შეეწყო ორი ახალი საწარმოს შექმნას. აღნიშნული საწარმო უზრუნველყოფს გადაცემული აქტივების ოთხმაგი ოდენობის ინვესტიციას, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს ბიუჯეტში გადახდილი გადასახადების ზრდას.
მხარდაჭერილი საწარმოები განლაგებულნი არიან ქვემო ქართლში (რუსთავი), ჯამური საინვესტიციო თანხით - 7 მლნ ლარი, დასაქმდება 3,810 ადამიანი.

2020 წელს თბილისისა და ბათუმის გარდა, საქართველოს ტერიტორიაზე 31 სასტუმრო პროექტთან დაკავშირებით გაფორმდა ხელშეკრულება სესხის პროცენტის თანადაფინანსების შესახებ. სასტუმრო ინდუსტრიის ხელშეწყობის მიმართულებით განსახორციელებელი ჯამური ინვესტიციის მოცულობა აღემატება 98.1 მლნ. ლარს. პროგრამის მეშვეობით, კომერციული ბანკების მიერ მოხდა 38.6 მლნ. ლარზე მეტი კომერციული სესხის დამტკიცება, აღნიშნული ბენეფიციარები დამატებით შექმნიან 620 ახალ სამუშაო ადგილს. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ინდუსტრიული მიმართულების ბენეფიციარები სააგენტოს მხრიდან, პროგრამაში ცვლილებების შესვლამდე, ფინანსურ მხარდაჭერას იღებდნენ 2 წლის განმავლობაში, შესაბამისად 2020 წლის განმავლობაში ასევე ხდებოდა იმ ბენეფიციარების მხარდაჭერა, რომელთა მიერ პროგრამაში ჩართვიდან 24 თვე არ იყო გასული. შედეგად, 2020 წლის განმავლობაში, სესხის პროცენტის თანადაფინანსების თანხა ირიცხებოდა 129 რეგიონულ პროექტში. საერთო ჯამში გადარიცხულმა თანხამ 8.2 მლნ ლარი შეადგინა.

საკრედიტო საგარანტიო სქემის ფარგლებში 2020 წელს დადასტურდა 4 სესხი სასტუმროებზე (თბილისს გარეთ), რომელთა მოცულობა არის 5.0 მლნ ლარი. პროგრამის ფარგლებში რეგიონებში გაიცა 1.1 მლნ ლარი.

პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში ყველაზე მეტი თანხა სუბსიდიის სახით გაიცა კახეთის (2.1 მლნ ლარი) და მცხეთა-მთიანეთის (1.6 მლნ ლარი) ტერიტორიებზე არსებულ სასტუმროებზე.
საერთაშორისო ბრენდის გადასახადი რეგიონების მიხედვით განაწილდა შემდეგნაირად: კახეთი - 238.5 ათასი ლარი, მცხეთა-მთიანეთი 134.4 ათასი ლარი.
TA-ით ისარგებლა ერთმა სასტუმრომ, რომელიც მდებარეობს გურიაში.
2020 წლის განმავლობაში სსიპ „აწარმოე საქართველოში“ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობისა და პოტენციური უცხოელი ინვესტორების მხარდაჭერის მიმართულებით, რეგიონებში დაიწყო 5 საინვესტიციო პროექტის განხორციელება პროექტები რეგიონებს შორის ნაწილდება შემდეგნაირად:

მცხეთა-მთიანეთი - ენერგეტიკის სფეროში ერთ-ერთმა მოწინავე იაპონურმა კომპანიამ Tokyo Electric Power Company (TEPCO) 2020 წელს განახორციელა ინვესტიცია დარიალის ჰიდროელექტროსადგურში, რომლის დადგმული სიმძლავრე 108 მგვტ-ია და საქართველოში იაპონიიდან განხორციელებულ ყველაზე მსხვილ ინვესტიციას წარმოადგენს.
კახეთი - 2020 წელს კახეთში დაიწყო ახალი სასტუმრო და ტურისტული კომპლექსის პროექტი COASIS Resort Kakheti, რომელიც პოლონური ინვესტიციით ხორციელდება. პროექტის ღირებულება 13 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს.
კახეთი - შვეიცარულმა შოკოლადის მწარმოებელმა კომპანიამ Camille Bloch დაიწყო ინვესტიცია პროექტში, რომელიც 650 ჰექტარზე გაშენებულ პლანტაციებსა და ნედლეულის გადამამუშავებელ ქარხანას მოიცავს. პროექტის ინვესტიციის ჯამური მოცულობა 10 მილიონ დოლარზე მეტს შეადგენს.
ქვემო ქართლი - სამკერვალო მიმართულებით საქართველოში უკვე არსებულმა ერთ-ერთმა მსხვილმა ინვესტორმა Ajara Textile მიიღო რეინვესტირების გადაწყვეტილება და დაიწყო ახალი საწარმოს მშენებლობა ქ. რუსთავში. აღნიშნული პროექტით შეიქმნება 3000 ახალი სამუშაო ადგილი.
აჭარა - სააგენტოს მხარდაჭერით, ბიზნეს სერვისების აუთსორსინგის (ე.წ. BPO) სექტორში არსებულმა ერთ-ერთმა მსხვილმა ინვესტორმა Majorel-მა 2020 წელს გააფართოვა საქმიანობა და ბათუმში გახსნა კომპანიის რიგით მე-4 ოფისი საქართველოში (ამჟამად, კომპანია ჯამში 1800 ადამიანს ასაქმებს 3 ოფისში). აღნიშნულ პროექტში დასაქმდება დაახლოებით 100 ადამიანი, რომლებიც გერმანულ ენაზე მოემსახურებიან უმსხვილეს საერთაშორისო კომპანიებს (მომხმარებლებთან ურთიერთების სერვისები ტელეფონით, ელ. ფოსტით და სოციალური ქსელებით).

2020 წელს სსიპ „აწარმოე საქართველოში“ ინვესტიციების დეპარტამენტის ხელშეწყობით განხორციელებული 6 საინვესტიციო პროექტის შედეგად შეიქმნა/შეიქმნება 3780 სამუშაო ადგილი. რეგიონებში განხორციელებული ხუთი პროექტის შედეგად შეიქმნება 3280 სამუშაო ადგილი, ხოლო პროექტების საინვესტიციო მოცულობაა 81 მლნ. აშშ დოლარი.

საქსტატის მონაცემებით 2020 წელს მოზიდული უცხოური პირდაპირი ინვესტიციები რეგიონულ ჭრილში შემდეგნაირად ნაწილდება:



მყისიერი შედეგების მაჩვენებლები

მყისიერი შედეგების ინდიკატორი	საზომი ერთეული	2020	
		სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
„აწარმოე საქართველოში - ინვესტიცია" პროგრამის ფარგლებში წამოწყებული ახალი საინვესტიციო პროექტების რაოდენობა	რაოდენობა	10	2

პრიორიტეტი 3: ადამიანური კაპიტალის განვითარება

<u>ღონისძიება 3.1 ზოგადი განათლების ხარისხის ამაღლება</u>

2020 წელს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სრულად რეაბილიტირდა 4 საჯარო სკოლა, რეაბილიტირდა 48 საჯარო სკოლა და აშენდა 9 საჯარო სკოლა, ასევე, აშენდა ინოვაციური ცენტრი ქალაქ ოზურგეთში; დაფინანსებულია 178 საჯარო სკოლა სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პრობლემების აღმოფხვრის მიზნით. რეგიონების მიხედვით პროექტები შესრულდა შემდეგნაირად: გურია (10 პროექტი); იმერეთი (52 პროექტი); კახეთი - 16 პროექტი; მცხეთა-მთიანეთი - 24 პროექტი; რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - 3 პროექტი; სამეგრელო ზემო - სვანეთი 41 პროექტი; სამცხე - ჯავახეთი - 10 პროექტი; ქვემო ქართლი - 39 პროექტი; შიდა ქართლი - 29 პროექტი.

2020 წელს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გადაწყვეტილებით მასწავლებლებისათვის უსაფრთხო პროფესიული განვითარების მიზნით ჩატარდა ვებინარების ციკლი, ონლაინ/დისტანციური ტრენინგები და სასწავლო კურსები. საანგარიშო წლის იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით, ტრენინგების პროგრამის ფარგლებში ჩატარებული აქტივობების შედეგად, სხვადასხვა საგნობრივი და შინაარსობრივი მიმართულებების 29

დასახელების სატრენინგო ონლაინ მოდული გაიარა 22 279 მასწავლებელმა. ონლაინ გადამზადება მიმდინარეობდა მთელი საქართველოს მასშტაბით

2020 წელს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებისთვის ჩატარდა სასკოლო კონკურსები შემდეგ თემებზე: ბლოგების კონკურსი „ჩვენი ენა ქართული“, ესეების კონკურსი, ფოტოკონკურსი "ფოტოამბები პანდემიის დროს". გამარჯვებულებს ჯილდოს სახით გადაეცათ კომპიუტერული ტექნიკისა და აქსესუარების 20 სასაჩუქრე ბარათი და 27 დიპლომი. გამარჯვებულ მოსწავლეთა შორის საქართველოს რეგიონებში მცხოვრები 9 მოსწავლეა. ასევე დაფინანსდა საქართველოს ეროვნული კინო ცენტრის პროექტი: „კინო სკოლაში“, რომლის ფარგლებში 40 საჯარო სკოლის 150-მდე მოსწავლეს სპეციალურად შერჩეულმა და გადამზადებულმა კინომისიონერებმა ჩაუტარეს 12 ონლაინ კინოსაგანმანათლებლო აქტივობა. ჩართული სკოლებიდან, 29 რეგიონს სკოლას წარმოადგენდა.

2019-2020 სასწავლო წლის მე-2 სემესტრში განხორციელდა 19 საჯარო სკოლის 2 242 მოსწავლის ტრანსპორტირება თბილისის მასშტაბით, ასევე 5 სკოლის 308 შშმ (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე) და სსსმ (სპეციალური საჭიროებების სტატუსის მქონე), ეტლით მოსარგებლე მოსწავლეების ტრანსპორტირებით მომსახურება. შესყიდვის მიზნით.

მყისიერი შედეგების ინდიკატორი	საზომი ერთეული	2020	
		სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
რეაბილიტირებული საჯარო სკოლების რაოდენობა	რაოდენობა	50	57
საზაფხულო სკოლის პროგრამაში ჩართული მოსწავლეების რაოდენობა	რაოდენობა	1600	0
სასკოლო პროექტების რაოდენობა სხვადასხვა მიმართულებით	რაოდენობა	25000	22279

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა	საბიუჯეტო კოდი	2020 წელი		
		სამიზნე მაჩვენებელი (ათასი ლარი)	ფაქტობრივი შესრულება (ათასი ლარი)	შესრულება (%)

3.1.1. რეგიონებში საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის ადაპტირებული ფიზიკური გარემოს უზრუნველყოფა და საგანმანათლებლო მომსახურეობის ხარისხის გაუმჯობესება	32 07 02 01; 32 07 02 05	23,696	23,696	100
3.1.3. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;	32 02 02;	141	141	100
3.1.5. საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა	32 03 11	20,100	10,960	54.53

<u>ღონისძიება 3.2 პროფესიული განათლების სისტემის გაუმჯობესება</u>

2020 წელს ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების მიზნით, დასრულდა 3 პროფესიული კოლეჯის მშენებლობა: კოლეჯი „მოდუსი“ მარნეულში - 150 სტუდენტზე გათვლილი (ქვემო ქართლი), ქ. კასპის პროფესიული კოლეჯი - 200 სტუდენტზე (შიდა ქართლი) და ააიპ კოლეჯი ,,ჰორიზონტი''-ის სასწავლო კორპუსი, სოფელ გორაბერეჟოულის ფილიალი (გურია) – 100 სტუდენტზე.

მიმდინარეობს 4 პროფესიული კოლეჯის მშენებლობა: იმერეთში - წყალტუბოს პროფესიული კოლეჯი, შენობა გათვლილია 100 სტუდენტზე; შიდა ქართლში - ხაშურის პროფესიული კოლეჯი, შენობა გათვლილია 150 სტუდენტზე; ბორჯომის (სამცხე-ჯავახეთი) პროფესიული კოლეჯი, შენობა გათვლილია 250 სტუდენტზე; შოთა მესხიას ზუგდიდის (სამეგრელო - ზემო სვანეთი) სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განყოფილება.

გარდა ახალი ლოკაციების განვითარებისა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების კომპონენტის ფარგლებში ხორციელდება არსებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარება (რეაბილიტაცია/აღჭურვა). 2020 წელს დასრულდა კოლეჯის „პრესტიჟი“ (კახეთი, თელავი) სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები და გაგრძელდა სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალქალაქის პროფესიული განყოფილების რეაბილიტაცია.

2020 წელს სამუშაოები წარიმართა/დაიგეგმა 5 რეგიონის (სამცხე-ჯავახეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, შიდა ქართლის, კახეთის, რაჭა ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სახელოსნოების მშენებლობის მიმართულებით.

2020 წელს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგები, ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, დისტანციურად ჩატარდა. 2020 წელს დაიგეგმა და ჩატარდა საჯარო პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა ტრენინგები 3 ძირითადი მიმართულებით: პროფესიული მასწავლებლის პედაგოგიური კურსი; სამეწარმეო კომპეტენციების განვითარება, ტრენინგები საწარმოებში.

2020 წლის მონაცემებით, რეგიონების მიხედვით დანერგილი მოდულური (დუალური) პროგრამები შემდეგნაირად განაწილდა: ა გურია - 13, იმერეთი - 55 (მათ შორის 1 დუალური), კახეთი 46 (მათ შორის 3 დუალური), მცხეთა-მთიანეთი 29 (მათ შორის 10 დუალური), რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სავანეთი - 3, სამეგრელო-ზემო სვანეთი - 98 (მათ შორის 4 დუალური), სამცხე-ჯავახეთი - 25 (მათ შორის 2 დუალური), ქვემო ქართლი-31, შიდა ქართლი-26 (მათ შორის 3 დუალური). 2020 წელს დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა ჯამურმა რაოდენობამ 68 (თბილისი 21, რეგიონები - 47) შეადგინა.

საჯარო სკოლებში პროფესიული უნარების განვითარებასთან დაკავშირებული ღონისძიებები არ განხორციელებულა პანდემიით გამოწვეული შეზღედვების გამო.

მყისიერი შედეგების მაჩვენებლები

მყისიერი შედეგების ინდიკატორი	საზომი ერთეული	2020	
		სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები ან არსებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ახალი ფილიალები	რაოდენობა	1	3
შრომითი/პროფესიული უნარების განვითარების პროგრამაში ჩართული პირები	რაოდენობა	4000	4200
პროფესიული განვითარების აქტივობებში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები	რაოდენობა	600	602
სამუშაოზე დაფუძნებული (დუალური) პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულები	რაოდენობა	60	68
სისტემაში დანერგილი დუალური / მოდულური პროგრამები	რაოდენობა	2	116 მოდულური /34 დუალური

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა	საბიუჯეტო კოდი	2020 წელი		
		სამიზნე მაჩვენებელი (ათასი ლარი)	ფაქტობრივი შესრულება (ათასი ლარი)	შესრულება (%)

3.2.1 არსებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება, ან/და ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფუძვნება	32 07 02 02	23,627	23,626	100
3.2.2. პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარება	32 02 02 ნაწილი	300	141	47.00

<u>ღონისძიება 3.3 უმაღლესი განათლების სისტემის ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაზრდა</u>

სამაგისტრო გრანტების და ახალგაზრდების წახალისების მიმართულებით 2020 წელს განხორციელდა 10 სასტიპენდიო პროგრამის დაფინანსება. სულ გაიცა 118 სტიპენდია, როგორც განათლების საერთაშორისო ცენტრის დაფინანსებით, ასევე ცენტრისა და პარტნიორი ორგანიზაციების თანადაფინანსებითა და უნგრეთის მთავრობის სრული დაფინანსებით, პროგრამა stipendium Hungaricum-ის ფარგლებში.

აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობას იღებდნენ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი და იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

პროგრამის უმაღლესი განათლების მხარდაჭერა“ ქვეპროგრამის „ევროსტუდენტის ეროვნული პროექტი“-ს ფარგლებში 2018 წელს დაიგეგმა. ევროსტუდენტის საერთაშორისო კვლევის მეშვიდე ტალღღის კვლევა აღწერს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასა და ცხოვრების პირობებს. კვლევა მოიცავს 2018-2020 წლებს.

2020 წლის განმავლობაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადდა 25 დასკვნა, რომლებიც ხელმისაწვდომია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე. კვლევის შედეგად, სულ გამოკითხულია 54 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 7672 სტუდენტი ქ. თბილისიდან და შემდეგი რეგიონებიდან: იმერეთიდან, აჭარიდან, სამეგრელო-ზემო სვანეთიდან, შიდა ქართლიდან, სამცხე-ჯავახეთიდან და კახეთიდან.

მყისიერი შედეგების მაჩვენებლები

მყისიერი შედეგების ინდიკატორი	საზომი ერთეული	2020	
		სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
ჩატარებული საერთაშორისო კვლევების (შეფასებების) რაოდენობა	რაოდენობა	1	1
წარმატებულ სტუდენტებზე გაცემული სტიპენდიების რაოდენობა	რაოდენობა	200	118

პროგრამებისა და პროექტების რაოდენობა, რომლებიც ხელს უწყობენ უმაღლეს განათლებას	რაოდენობა	10	10
ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური შეფასების დასკვნები	რაოდენობა	10	10

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა	საბიუჯეტო კოდი	2020 წელი		
		სამიზნე მაჩვენებელი (ათასი ლარი)	ფაქტობრივი შესრულება (ათასი ლარი)	შესრულება (%)
3.3.1. სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტები და ახალგაზრდების წახალისება; უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარება და მართვა	32 04 02; 32 01 03; 32 04 04	4,726	4,716	100
3.3.2. უმაღლესი განათლების ხელშეწყობა	32 04 03, 32 04 05	1,550	1, 550	100

<u>ღონისძიება 3.4 კვლევითი სექტორის მხარდაჭერა</u>

2020 წელს დასრულებული კონკურსების ფარგლებში, გამარჯვებულად გამოვლინდა და საგრანტო დაფინანსება მიიღო 103 დაწესებულებამ. თუმცა, აქედან 96 პროექტი ხორციელდება თბილისში არსებულ უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუციების ბაზებზე, ხოლო დანარჩენ რეგიონებში - 4 %-მა. 2020 წელს ახალი საგრანტო კონკურსები არ გამოცხადებულა ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებების (სეკვესტრის) გამო.

აღნიშნული ქვე-ღონისძიების ფარგლებში, 2020 წელს დასრულდა 2019 წლის კონკურსის ადმინისტრირება, რომლის ფარგლებში დაფინანსდა 7 საგრანტო პროექტი საქართველოს რეგიონების წარმომადგენელი უნივერსიტეტებისათვის, კერძოდ: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის 3 პროექტი (აჭარა), აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის 3 პროექტი (იმერეთი), ქალაქ თელავის N2 საჯარო სკოლისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჩაილურის საჯარო სკოლის 1 პროექტი (კახეთი).

2020 წლის მეცნიერების პოპულარიზაციის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს რეგიონებში მდებარე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, გამომდინარე პანდემიით გამოწვეული მდგომარეობიდან, დაფინანსდა ვირტუალური სამეცნიერო ღონისძიებების (პიკნიკების) ჩატარება. კერძოდ, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა აჭარაში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, იმერეთში - ქ. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, კახეთში - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სამეგრელო ზემო-სვანეთში შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტების ბაზაზე ჩაატარა სამეცნიერო ვირტუალური პიკნიკები.

სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის მიმართულებით 2020 წელს განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: რადონის კვლევები წყალტუბოში (იმერეთი).
ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში მოქმედ 7 ვეტერინარულ კლინიკასთან და 5 ცხოველთა თავშესაფრებთან ერთობლივად პროექტი „Ehrlichia spp. - საქართველოში რეგიონალური გავრცელებისა და ჯანმრთელობის ტვირთის შეფასება“. ქვემო ქართლის რეგიონში (ბოლნისი-დმანისი) განხორციელდა გასვლითი ღონისძიებები სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის „გარემოს ჯანმრთელობის რისკების შეფასება ბოლნისი-დმანისის რეგიონში“ ფარგლებში.

მყისიერი შედეგების მაჩვენებლები

მყისიერი შედეგების ინდიკატორი	საზომი ერთეული	2020	
		სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
კვლევებისათვის გაცემული სახელმწიფო გრანტების რაოდენობა	რაოდენობა	107	103

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა	საბიუჯეტო კოდი	2020 წელი		
		სამიზნე მაჩვენებელი (ათასი ლარი)	ფაქტობრივი შესრულება (ათასი ლარი)	შესრულება (%)
3.4.1. სამეცნიერო გრანტების გაცემისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა	32 05 01- ადმინისტრირება 1180	36,146	35,813	99.08
3.4.4. სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა		775	775	100

<u>ღონისძიება 3.5. შრომის ბაზრის ხელმისაწვდომობის გაზრდა</u>

2020 წელს დასრულდა უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევის განხორციელება, რომლის მიზანს წარმოადგენს საწარმოების მიერ მოთხოვნადი პროფესიული უნარების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და მისი ანალიზი. კვლევა მოიცავდა 9000 საწარმოს და შეისწავლიდა სამუშაო ძალის სტრუქტურას, დასაქმებულთა პროფესიული უნარებს, საწარმოში არსებულ ვაკანსიებს, საწარმოებში ადამიანური კაპიტალის განვითარების სტრატეგიას, დამსაქმებელთა დამოკიდებულებას განათლების მიმართ. 2020 წლის ივნისში გაიმართა კვლევის შედეგების ონლაინ პრეზენტაცია, რომელსაც ესწრებოდნენ სახელმწიფო სტრუქტურების, სოციალური პარტნიორების, ბიზნეს ასოციაციების, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ჯამში 50 მონაწილე. მომზადდა კვლევის ანგარიში, რომელიც განთავსდა ქართულ და ინგლისურ ენაზე შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის ვებ-გვერდზე. პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო ვერ განახორციელდა და 2021 წლისთვის გადაიდო უნარების

შესწავლის სექტორული კვლევა, რომელიც მოიცავს ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სექტორებს.

„უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევის“ შედეგად მიღებული მიგნებები ემსახურება მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებას დასაქმებისა და განათლების მიმართულებით. აღნიშნული კვლევა, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, საშუალებას იძლევა შრომის ბაზარზე მოთხოვნის კომპონენტის შესწავლას პროფესიული ჯგუფების მიხედვით.

მყისიერი შედეგების ინდიკატორი	საზომი ერთეული	2020	
		სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემა შექმნილია და გამოიყენება	რაოდენობა	1	1
ჩატარებულია ბიზნეს სექტორის მოთხოვნის კომპონენტის კვლევა	რაოდენობა	1	1
დასაქმებასთან დაკავშირებული ღონისძიებები სამუშაოს მაძიებლებისა და დამსაქმებლებისათვის (წელიწადში მინიმუმ ერთხელ)	რაოდენობა	1	2

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა	საბიუჯეტო კოდი	2020 წელი		
		სამიზნე მაჩვენებელი (ათასი ლარი)	ფაქტობრივი შესრულება (ათასო ლარი)	შესრულება (%)
3.5.1. შრომის ბაზრის ანალიზი, შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის განვითარება	24 01 05	113,703	16,818	14.79
3.5.2. დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარება	35 05 02	700	444	63.4
3.5.3. სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება	35 05 04	2000	5	0.25

2019 წლის 30 დეკემბერს საქართველოს მთავრობის #665 დადგენილებით დამტკიცდა ,,დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების 2020 წლის სახელმწიფო პროგრამა“, რომლის მიზანია ქვეყანაში შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკისა და დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარება/განხორციელება.

საანგარიშო პერიოდში, პანდემიით განპირობებული შეზღუდვების გამო, სახელმწიფო პროგრამით გაწერილი რიგი აქტივობების განხორციელება ვერ

მოხერხდა, განსაზღვრული ბიუჯეტის, 700 ათასი ლარის ათვისებაც ვერ მოხერხდა. ბიუჯეტი დაკორექტირდა და განისაზღვრა 444 ათასი ლარით. წარმოგიდგენთ პროგრამით გაწერილი განხორციელებული აქტივობების 2020 წლის შესრულების ანგარიშს.

შეიქმნა პლატფორმა www.worknet.gov.ge, რომლიდანაც შესაძლებელია სტატისტიკური ინფორმაციის მოგროვება, მონაცემთა ბაზების ფორმირება და ანგარიშის დამუშავება.

2020 წლის დეკემბრის მდგომარეობით, სისტემაში რეგისტრაცია გაიარა 33 693. სულსამუშაოს მაძიებელთა რაოდენობამ 377 518 ადამიანი შეადგინა, მათგან აქტიური მაძიებელია - 338 317. მათ შორის ქ.თბილისში - 59 024, აჭარაში - 35 528, გურიაში - 15 994, იმერეთში - 46 939, კახეთში - 37 511, სამეგრელო-ზემო სვანეთში - 33 276, სამცხე -ჯავახეთში - 12 243, ქვემო ქართლში - 33 248, შიდა ქართლში - 27 688, რაჭა-ლეჩხუმში - 5 343, მცხეთა-მთიანეთში - 9 838, სხვა (მისამართის გარეშე) – 21 685.

„შრომის ბაზარზე ქცევის წესების“ გაცნობის მიზნით, დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს სერვის ცენტრებში სამუშაოს მაძიებლებს ჩაუტარდათ ინდივიდუალური კონსულტაციები. შედეგად, შემოსული ინფორმაციის მიხედვით, სააგენტოს სერვის ცენტრში ინდივიდუალური კონსულტირება გაიარა 3 024 სამუშაოს მაძიებელმა. (ქ. თბილისიდან - 1 179, აჭარიდან - 433, გურიიდან - 396, იმერეთიდან -32 კახეთიდან - 217, სამეგრელო-ზემო სვანეთიდან - 436, ქვემო ქართლიდან -14, შიდა ქართლიდან - 281 და მცხეთა-მთიანეთიდამ - 36).

დამსაქმებლების მიერ წარმოდგენილ 3 434 თავისუფალ სამუშაო ადგილზე საშუამავლო მომსახურების გაწევის (სამუშაოს მაძიებელთა შერჩევის) მიზნით, ვაკანსიების შესახებ ინფორმაცია მიეწოდა სისტემაში რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებლებს. ვაკანსიების ფარგლებში შეირჩა და დამსაქმებლებთან გაიგზავნა 1 806 სამუშაოს მაძიებელი, მათ შორის თბილისიდან - 1 322, აჭარედან - 31, გურიიდან - 61, იმერეთიდან - 59, კახეთიდან - 192, სამეგრელო-ზემო სვანეთიდან - 26, ქვემო ქართლიდან - 27, შიდა ქართლიდან - 30 და მცხეთა - მთიანეთიდან - 58.

სულ, საშუამავლო მომსახურების ფარგლებში დასაქმდა 343 სამუშაოს მაძიებელი. აქედან 69 დასაქმდა იმ დამსაქმებელთან, ვისთანაც შუამავალი სააგენტოს მიერ, ხოლო 274 პირი სხვა დამსაქმებელთან.

სააგენტოს სერვის ცენტრებში ინდივიდუალური კარიერის დაგეგმვა და პროფესიული კონსულტირება ჩაუტარდა 72 სამუშაოს მაძიებელს. (ქ. თბილისი - 58, იმერეთი - 10 და შიდა ქართლი - 4).

სააგენტოს 4 სერვის ცენტრში მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტებმა 12 შშმ პირს გაუწიეს მომსახურება. აქედან, თბილისი - 5, აჭარა - 3, გურია - 2, შიდა ქართლი - 2.

დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, შშმ პირთათვის მოძიებული იქნა 9 ვაკანსია.

საშუამავლო მომსახურების ფარგლებში დასაქმდა 9 შშმ პირი. აქედან, თბილისი - 6, აჭარაში -3.

HR hub-ის მიერ ორგანიზებულ დასაქმების ფორუმზე, რომელიც გაიმართა 2020 წლის თებერვალში, სააგენტომ განახორციელა საინფორმაციო მხარდაჭერა. ფორუმის შესახებ ინფორმაცია მიეწოდა სისტემაში რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებელებს.

2020 წლის მარტში, ახალგაზრდული ასოციაცია „დრონი"-ს და სტუდენტურ ინიციატივა „ამოიცანი შესაძლებლობა"-სთან ერთად ორგანიზებულ დასაქმების ფორუმზე, რომელიც ეხებოდა სამუშაოს მაძიებელი შშმ პირების შეხვედრას პოტენციურ დამსაქმებლებთან, სააგენტომ განახორციელა საინფორმაციო მხარდაჭერა. ფორუმის შესახებ ინფორმაცია მიეწოდა სისტემაში რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებელებს.

2020 წლის ივლისში საქართველოს მთავრობის #449 დადგენილებით დამტკიცდა ,,სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადების, პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა", რომლის მიზანია შრომის ბაზრის მოთხოვნად პროფესიებში სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება, პროფესიული გადამზადება და/ან სამუშაო ადგილზე შემდგომი სტაჟირებითა და საკვანძო კომპეტენციების განვითარებით მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ამ გზით სამუშაოს მაძიებელთა დასაქმების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში, ქვეყანაში შექმნილი პანდემიით განპირობებული შეზღუდვების გამო, სახელმწიფო პროგრამა 2020 წელს განხორციელდა შეფერხებით. შესაბამისად, პროგრამით განსაზღვრული ბიუჯეტის, 2 მილიონი ლარის ათვისებაც ვერ მოხერხდა. ბიუჯეტი დაკორექტირდა და განისაზღვრა 5 ათასი ლარით.

სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადების, პროფესიული გადამზადების კომპონენტის ფარგლებში, დეკემბრის თვიდან სწავლა დაიწყო 442-მა სამუშაოს მაძიებელმა. სწავლის პროცესი დაიწყო ქალაქ თბილისში, იმერეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში. სასწავლო პროცესში, ქ. თბილისში ჩაერთო 326 მოსარგებლე, ხოლო რეგიონში - 116 მოსარგებლე (იმერეთი - 60, სამეგრელო-ზემო სვანეთი - 56). სასწავლო პროცესი დასრულდება 2021 წლის პირველ კვარტალში და თუ ყველა მათგანი სრულად დაასრულებს სასწავლო კურსს, მაშინ სწავლის ღირებულების გათვალისწინებით, 2021 წლის ბიუჯეტიდან დაიხარჯება 122 ათასი ლარი.

სტაჟირების კომპონენტში 2020 წელს ჩაერთო 1 დამსაქმებელი ქ. თბილისში და 19 სტაჟიორი. სტაჟირება დასრულდება 2021 წლის პირველ კვარტალში. 2020 წლის

პროგრამის ბიუჯეტიდან სტაჟიორები დაფინანსდნენ 3 200 ლარით. 2021 წლის ბიუჯეტიდან პროგრამაში ჩართული სტაჟიორებისთვის გათვალისწინებულია 7 600 ლარი.

<u>ღონისძიება 3.6 მოწყვლადი ჯგუფების ინტეგრაციის ხელშეწყობა</u>

2020 წელს ხორციელდება სტიქიით დაზარალებული (ეკომიგრანტი) ოჯახებისათვის საცხოვრებელი სახლების შესყიდვა, საბიუჯეტო ასიგნებების რაოდენობის შესაბამისად. საანგარიშო პერიოდში ამ მიზნით გამოყოფილი იყო 5 მლნ ლარი, ხოლო თითოეული სახლის შესყიდვა უნდა განხორციელბულიყო 25 ათასი ლარის ფარგლებში. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში შეისყიდეს 204 სახლი.

სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ დევნილ სტუდენტებს უნაზღაურდებათ ტრანსპორტირების ხარჯები და „დევნილთა თვითდასაქმების ხელშეწყობის პროგრამა", რომლის ფარგლებშიც პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულ დევნილებს თვითდასაქმების მიზნით გადაეცემათ სახელობო იარაღები. აღნიშნულ პროგრამებში ჩართულობის სამიზნე მაჩვენებელს წარმოადგენდა 385 დევნილი. 2020 წელს მითითებულ პროგრამებში მონაწილეობა მიიღო 234 დევნილმა. სააგენტოს პროგრამებში დევნილთა ჩართულობა დევნილთა რეგიონალური განსახლების პირდაპირ პროპორციულია და მოიცავს შემდეგ რეგიონს: სამეგრელო-ზემო სვანეთს, იმერეთს, შიდა ქართლსა და ქვემო ქართლს.

მყისიერი შედეგების მაჩვენებლები

მყისიერი შედეგების ინდიკატორი	საზომი ერთეული	2020	
		სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
იძულებით გადაადგილებული ოჯახებისთვის აშენებული ან შეძენილი საცხოვრებელი ფართი	რაოდენობა	1500	1527
იმ დევნილთა რაოდენობა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს დევნილთა პროფესიული განათლების და თვითდასაქმების ხელშეწყობის პროგრამებში	რაოდენობა	385	234
პროფესიულ განათლებაში, ტრენინგებსა და უნარ-ჩვევების განვითარებაში მონაწილე სხვა მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელთა (განათლების მიღმა დარჩენილი ახალგაზრდები, სსსმ და შშმ პირები) რაოდენობა	რაოდენობა	200	204
ეკომიგრანტებისთვის გრძელვადიანი საცხოვრისის უზრუნველყოფა	რაოდენობა	120	120

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

		2020 წელი		
პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა	საბიუჯეტო კოდი	სამიზნე მაჩვენებელი (ათასი ლარი)	ფაქტობრივი შესრულება (ათასი ლარი)	შესრულება (%)

3.6.1. დევნილთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება	27 06 03	98,400	62,376	63
3.6.2. დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა	27 01 07 (27 01 08 დეკემბრიდან)	127,500	418	0
3.6.4. ეროვნული უმცირესობების პროფესიული და სახელმწიფო ენის პროგრამით გადამზადება	32 03 03	2,600	2,048	79

<u>ღონისძიება 3.7 სოციალური ინკლუზია</u>

სოციალური ინკლუზიის ფარგლებში შემავალი კომპონენტია მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარებები, რომელიც ყოველწლიურად ხორციელდება და მოიცავს სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფებისთვის მიზნობრივი დახმარებების გაცემას. კერძოდ, ამ პროგრამის ფარგლებში გაიცემა საარსებო შემწეობა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისთვის, მიზნობრივი ჯგუფებისთვის „სოციალური პაკეტი“, დევნილთა, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების მქონე პირთა შემწეობები, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის ფულადი ბენეფიტები, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, აგრეთვე ახალშობილის შვილად აყვანის პროცესში დახმარება, შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის კომპენსაცია.

2020 წელს პანდემიით გამოწვეული ზიანის შემსუბუქების მიზნით შეჩერდა მიზნობრივი დახმარებების ადმინისტრირების პროცედურები, მათ შორის, მოხდა შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების უწყვეტად გაგრძელება. სოციალური დაცვის ამ ღონისძიებამ გაზარდა მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის (TSA) მოცულობა.

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში ყოველწლიურად ხორციელდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, მათ შორის ბავშვთა, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ, სოციალურად დაუცველ, მიუსაფარ და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია, ასევე კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარება. პროგრამით გათვალისწინებული ქვეპროგრამების ფარგლებში მომსახურებას იღებდა 15 500-მდე ბენეფიციარი. ამ ქვეპროგრამის ბიუჯეტი ყოველწლიურად იზრდება და 2020 წელს მან 37, 4 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2 მლნ-ით მეტია ვიდრე წინა წელს. ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გამო, ამ ქვე-პროგრამის ზოგიერთი მომსახურებები გადავიდა დისტანციურ მომსახურებაზე.

მყისიერი შედეგების მაჩვენებლები

მყისიერი შედეგების ინდიკატორი	საზომი ერთეული	2020	
		სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი

მიზნობრივი ჯგუფებისთვის გაწეული სოციალური დახმარების ოდენობა	ათასი ლარი	793.000.	794.687

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა	საბიუჯეტო კოდი	2019 წელი		
		სამიზნე მაჩვენებელი (ათასი ლარი)	ფაქტობრივი შესრულება (ათასი ლარი)	შესრულება (%)
3.7.1. მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება	27 02 02	793,000	794,000	100.13
3.7.2. სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვზე ზრუნვა	27 02 03	37,400	31,470	84.14

პრიორიტეტი 4: ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა და კონკრეტული ტერიტორიების მხარდაჭერა, მათი ენდოგენური განვითარების საფუძველზე

<u>ღონისძიება 4.1 რეგიონული განვითარების სტრატეგიის განხორციელების ხელშეწყობა: მცირე ზომის ტექნიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება</u>

2020 წელს ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონული პროექტების განსახორციელებლად გამოყოფილი თანხა თავდაპირველად 250 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრა, თუმცა ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი თანხების სრულად ათვისების კვალობაზე მოხდა 110 მლნ ლარის დამატება. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონული პროექტების განსახორციელებლად გამოყოფილმა ჯამურმა თანხამ 360 მლნ ლარი შეადგინა. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფაქტობრივმა ათვისებამ - 358 მლნ ლარი შეადგინა.

2020 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტები მოიცავდა შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

კატეგორია	პროექტების რაოდენობა	გაცემული თანხები (ლარი)	ათვისება (ლარი)
გზები	743	270,440,513.00	268,930,229.00
კანალიზაცია	2	1,003,524.00	1,003,524.00
კულტურული ინფრასტრუქტურა	16	4,177,811.00	4,177,810.00
მუნიციპალური ინფრასტრუქტურა	76	25,594,244.00	25,506,780.00
საბავშვო ბაღები	42	10,923,199.00	10,892,621.00
საგზაო ინფრასტრუქტურა	16	5,893,074.00	5,862,350.00
სკვერები	20	4,472,308.00	4,455,599.00
სპორტული ინფრასტრუქტურა	41	8,666,273.00	8,609,190.00
წყალმომარაგება	94	27,664,897.00	27,597,630.00
ხიდები	9	1,164,157.00	1,157,823.00
სულ	**1059**	**360,000,000.0**	**358,193,556.00**

აღნიშნული პროექტები რეგიონულ ჭრილში შემდეგნაირად განაწილდა:

რეგიონი	პროექტების რაოდენობა	გაცემული თანხები (ლარი)	ათვისება (ლარი)
გურია	56	18,964,397.00	18,963,283.00
იმერეთი	302	81,173,857.00	80,710,875.00
კახეთი	187	52,644,855.00	52,482,565.00
მცხეთა-მთიანეთი	59	22,156,663.00	22,156,625.00
რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი	63	17,291,718.00	17,250,919.00
სამეგრელო-ზემო სვანეთი	181	60,923,723.00	60,094,303.00
სამცხე-ჯავახეთი	77	34,946,024.00	34,798,597.00
ქვემო ქართლი	74	40,068,676.00	40,005,658.00
შიდა ქართლი	60	31,830,087.00	31,730,731.00
სულ	**1059**	**360,000,000.00**	**358,193,556.00**

განხორციელებული პროექტების შედეგად მყისიერი ინდიკატორები მიღწეულია:

მყისიერი შედეგების ინდიკატორი	საზომი ერთეული	2020	
		სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
აშენებული და რეაბილიტირებული მცირე ინფრასტრუქტურის რაოდენობა	როადენობა	1059	1059
აშენებული და რეაბილიტირებული გზების სიგრძე	კმ	1014,7	1014,7
მაღალმთიან დასახლებებში აშენებული და რეაბილიტირებული საავტომობილო გზების სიგრძე	კმ	38	38

<u>ფინანსური ინდიკატორების ცხრილი</u>

პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა	საბიუჯეტო კოდი	2019 წელი		
		სამიზნე მაჩვენებელი (ათასი ლარი)	ფაქტობრივი შესრულება (ათასი ლარი)	შესრულება (%)
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში დასაფინანსებული პროექტები	56 08	360,000	358,193	99.50

<u>ღონისძიება 4.2: სოფლის განვითარება</u>

ანგარიშგება არ ხორციელდება რეგიონული განვითარების პროგრამის ფარგლებში.

<u>ღონისძიება 4.3: მაღალმთიანი რეგიონების განვითარება</u>

„ყაზბეგის მუნიციპალიტეტში და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში მოსახლეობის ბუნებრივი გაზით უწყვეტი მომარაგების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ნოემბრის №335 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს კონკრეტული წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით პასუხისმგებელი სამინისტროსთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, მოსახლეობის მძიმე სოციალური მდგომარეობის გამო,

2010 წლიდან ყოველწლიურად ხორციელდება ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების მაღალმთიანი სოფლების მუდმივად მაცხოვრები აბონენტების (დაახლოებით 5700 აბონენტი) მიერ იანვარი-მაისისა და ოქტომბერი-დეკემბრის პერიოდში მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურება. პროგრამის ფარგლებში 2020 წელს დაგეგმილი იყო 5700 აბონენტისთვის მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურება, რაზეც მთლიანად იყო მიმართული 8,000 ლარი. აღნიშნული სრულად განხორციელდა და 2019 წლის 1 დეკემბრიდან 2020 წლის 30 ნოემბრის პერიოდში მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულებამ შეადგინა 8,9 მლნ ლარი, ხოლო აბონენტთა რაოდენობა განისაზღვრა 7113-ით.

იანვარი-მაისისა და ოქტომბერი-დეკემბრის პერიოდში ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების მაღალმთიან სოფლებში მუდმივად მცხოვრებ მოსახლეობას (7113 აბონენტს) შეუმსუბუქდა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. პროგრამის განხორციელება დაგეგმილია შემდეგ წლებშიც, რაც, შესაბამისად, პოზიტიურად აისახება პროგრამის ბენეფიციარების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა	საბიუჯეტო კოდი	2020 წელი		
		სამიზნე მაჩვენებელი (ათასი ლარი)	ფაქტობრივი შესრულება (ათასი ლარი)	შესრულება (%)
4.3.1. მაღალმთიანი დასახლებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	RDF, 25 03 10 MDF	8,495	8,370	98.54
4.3.3 სოციალური შეღავათები მაღალმთიან დასახლებებში	35 02 04	64,100.00	59,285.00	92.5
4.3.4. ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი დასახლებების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება	24 11	8,949.00	8,949.00	100%

„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, სხვა შეღავათებთან ერთად, მაღალმთიან დასახლებებში მუდმივად მცხოვრები პენსიონერებისთვის „სოციალური პაკეტის“ მიმღებისთვის გათვალისწინებულია პენსიის/„სოციალური პაკეტის“ დანამატის მიღება პენსიის/“სოციალური პაკეტის“ 20%-ის ოდენობით; ამავე პროგრამის ფარგლებში გაიცემა დანამატები სამედიცინო პერსონალისთვის: ექიმისთვის – პენსიის ორმაგი ოდენობით, ექთნისთვის – ერთი თვის პენსიის ოდენობით. ამასთან, მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები აბონენტებისთვის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის) ხორციელდება მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელექტროენერგიის ყოველთვიური საფასურის 50% - ით (არაუმეტეს მოხმარებული 100 კვტ.სთ ელექტროენერგიის საფასურისა) ანაზღაურება;

2020 წლის იანვრიდან საპენსიო განაკვეთის მატება დაიგეგმა ორ ეტაპად: იანვრიდან სახელმწიფო პენსიის გაზრდილმა ოდენობამ შეადგინა 200 დან 220 ლარი, ხოლო ივლისისდან 70 წლის და ზევით ასაკის მოსახლეობისთვის კვლავ განხორციელდა სახელმწიფო პენსიის ზრდის მეორე ეტაპი 250 ლარამდე. 2020 წელს „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილების თანახმად, 2021 წლიდან პენსიის ინდექსაციის წესის მიხედვით: ყველა პენსიონერის პენსია გაიზრდება არანაკლებ ინფლაციის მაჩვენებლისა.

<u>ღონისძიება 4.4 ანაკლიის პორტის მიმდებარე ტერიტორიების განვითარების ხელშეწყობა</u>

საანგარიშო პერიოდში შეწყვეტილი იყო საქართველოს მთავრობასა და შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“-ს შორის არსებული საინვესტიციო ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც შესრულებულია და სახელმწიფო საკუთრებაშია გადმოსული რიგი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევები, ასევე წინასწარი დიზაინი, საბაზისო კვლევა და გენერალური გეგმა. ამასთან, შესრულებულია ადრეული დაღრმავების სამუშაოები. ამ ეტაპზე, სააგენტოს მიერ დაწყებულია მუშაობა ახალი ტენდერის პირობების ჩამოყალიბების მიზნით, რომლის შედეგადაც უნდა შეირჩეს ახალი ინვესტორი პროექტის განსახორციელებლად.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში (სამეგრელო-ზემო სვანეთი) განხორციელებულია ადრეული დარღმავების სამუშაოები. პორტის მშენებლობასთან დაკავშირებული სხვა სამუშაოები ანაკლიაში განახლდება და განხორციელდება ახალი ინვესტორის მიერ, რომელიც შეირჩევა განახლებული ტენდერის ფარგლებში.

პრიორიტეტი 5. რეგიონული განვითარების ინსტიტუციების ხარისხისა და ეფექტიანობის ზრდა, რეგიონული განვითარების პროგრამის მომზადება საპილოტე რეგიონებისთვის

2020 წელს სრიგპ-ს პროგრამა ხორციელდებოდა წლიური გეგმის შესაბამისად, რომლისთვისაც საქართველოს მთავრობამ 2020 წლის ივლისში გამოყო 5 მილიონი ლარი. გეგმის თანახმად, გამოყოფილი თანხა ფორმულის შესაბამისად გადანაწილდა საპილოტე რეგიონებზე ქვემოთ მოცემული გრაფიკის შესაბამისად:

ფინანსების განაწილება სრიგპ-ს საპილოტე რეგიონების მიხედვით



გამოყოფილი თანხა მიემართა პროგრამის მე-4 პრიორიტეტის - „ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება“-ის 4.2 ღონისძიებას „ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობა“.

წარდგენილი პროექტებიდან შესაბამისი რეგიონების სამხარეო საკონსულტაციო საბჭოებმა დასაფინანსებლად შეარჩია 11 პროექტი, რომლის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოყვანილია შემდეგ ცხრილში.

N	რეგიონი	საიდენტიფიკაციო ნომერი	პროექტის დასახელება	საპროექტო წინადადების წარმდგენი	პროექტის მთლიანი ღირებულება ლარი	მოთხოვნილი თანხის ოდენობა	თანადაფინანსების მოცულობა
1.	**იმერეთი**	PIRDP/4.2/CfP#1/IMERETI/01	საჩხერის გზატკეცილის გასწვრივ, ყოფილ „შამპანის ქარხანა“-სთან	საჩხერის მუნიციპალიტეტის მერია	344801,66	327562	17 239,66 (5%)

			სკვერის მოწყობა -მცირე ზომის ინფრასტრუქტურის მშენებლობით ახალი რეკრეაციული, დასასვენებელი სივრცეების მოწყობა და მცირე ბიზნესის ხელშეწყობა				
2.	**იმერეთი**	PIRDP/4.2/CfP#1/IMERETI/03	ადგილობრივი ბიზნესის სტიმულირებისა და ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით, დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში, ლაბაჯოურის უბნის საავტომობილო გზისა და საფეხმავლო ხიდის რეაბილიტაცია	ვანის მუნიციპალიტეტის მერია	262 155	262 155	0
3.	**იმერეთი**	PIRDP/4.2/CfP#1/IMERETI/05	ადგილობრივი ბიზნესის განვითარების მხარდასაჭერად ბეტონის საფარიანი გზის მოწყობა სოფელ საწირეში	ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია	172 784	172 784	0
4.	**იმერეთი**	PIRDP/4.2/CfP#1/IMERETI/07	ადგილობრივი მცირე ბიზნესის ხელშეწყობისათვის მყარი ინფრასტრუქტურის, გასართობ-დასასვენებლი სივრცის მოწყობა	სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია	536 600.62	426 942	109 657,75 (20.4%)
5.	**იმერეთი**	PIRDP/4.2/CfP#1/IMERETI/08	ბაღდათის მუნიციპალიტეტში ბიზნესის განვითრებისა და ტურიზმის ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობა	ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია	993 993.77	970 000	23 993,77 (2.4%)
6.	**კახეთი**	PIRDP/4.2/CfP#1/KAKHETI/01	მანავის ციხესთან მისასვლელი გზის მოწყობა-ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიზნით	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	1 402 490	897 594	504 896 (36%)
7.	**კახეთი**	PIRDP/4.2/CfP#1/KAKHETI/02	ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაბანეურში	ახმეტის მუნიციპალიტეტი	572 919	572 919	0

			მისასვლელი გზის რეაბილიტაციის საშუალებით საშუალო ბიზნესის-ბაბანეურის მარანის ხელმისაწვდომობის გაზრდა				
8.	**<u>კახეთი</u>**	PIRDP/4.2/CfP#1/KAKHETI/04	ქალაქ თელავში ახალი ბიზნეს-კლასტერის ტერიტორიაზე არსებული გზის რეაბილიტაცია	<u>თელავის მუნიციპალიტეტი</u>	317 530,13	301 653	15 876 (5%)
9.	**გურია**	PIRDP/4.2/CFP#1/GURIA/01	ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ბიზნესის განვითარება ინფრასტრუქტურის მოწესრიგების გზით	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია	261 643.83	252 699.19	8 944,64 (3.42%)
10.	**გურია**	PIRDP/4.2/CFP#1/GURIA/02	ახალი რეკრეაციულ-მოსასვენებელი პარკის შექმნით ჩოხატაურის ტურისტული მრავალფეროვნების განვითარება და ადგილობრივი ბიზნესის მხარდაჭერა	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი	279 157.0	279 157.0	0

შერჩეული პროექტების დაფინანსებისთვის საქართველოს მთავრობამ გამოიყო 4,8 მლნ ლარი, რამაც ევროკავშირის მიერ სრგიპ-ს განხორციელებაზე გამოყოფილი თანხის 8.8% შეადგინა, ამის შემდეგ მუნიციპალიტეტებმა 2020 წლის 21 აგვისტოდან დაიწყეს სამუშაოების შესყიდვაზე ტენდერების გამოცხადება, ხოლო 2020 წლის 24 სექტემბრისთვის დასრულდა ყველა პროექტზე წინადადების მიღების ვადა. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტების მხრიდან თანადაფინანსება საკონკურსო პირობებით არ იყო გათვალისწინებული, თუმცა მუნიციპალიტეტებმა გამოხატეს თანადაფინანსების სურვილი და შესაბამისმა ჯამურმა თანხამ 695 ათასი ლარი (მოთხოვნილი თანხის 14.4%), რაც მუნიციპალიტეტების პროგრამაში მონაწილეობის მაღალი ინტერესისა და გამოყოფილი სახსრების ეფექტიანად ათვისების სურვილზე და მუნიციპალიტეტებს შორის კონკურენციაზე მიუთითებდა.

სრგიპ-ს ფარგლებში 2020 წელს განხორციელებული პროექტების ფარგლებში, მხარდაჭერილი სოფლებისა და დასახლების რაოდენობამ 11 შეადგინა, მხარდაჭერილი მცირე ინფრასტრუქტურული პროექტების რაოდენობამ 4, ხოლო გზების მოწყობის პროექტების რაოდენობამ -7, მათ შორის გზის საფართან ერთად მოხდა 1 ხიდის აღდგენა.

ნაწილი II: მიღწეული შედეგების ანალიზი

რგპ-ს განხორციელებისას მიღწეული მყისიერმა შედეგებმა გავლენა იქონიეს უფრო გრძელვადიან შედეგებზე. სწორედ ეს შედეგები გავლენას ახდენენ რეგიონებში ეკონომიკის ინკლუზიურ განვითარებაზე, მოსახლეობის შემოსავლების ზრდასა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესობაზე. ქვემოთ მოყვანილია ამ შედეგების დინამიკა 2018-2020 წლებში.

ქვეყნის და მისი რეგიონების კონკურენტუნარიანობის და მდგრადი განვითარების ხელშემწყობი ძირითადი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების საბოლოო შედეგები:

საბოლოო შედეგის ინდიკატორი	საზომი ერთეული	საბაზისო მაჩვენებელი (2017 წელი)	სამიზნე მაჩვენებელი 2018	შედეგი2018	სამიზნე მაჩვენებელი 2019	შედეგი 2019	სამიზნე მაჩვენებელი 2020	შედეგი 2020
შემცირებული საგზაო შემთხვევების რაოდენობა	საგზაო შემთხვევების რაოდენობა	1,278	1,100	1,028	1,000	952	950	816

გაუმჯობესებული საგზაო ინფრასტრუქტურის შედეგად მგზავრთა უსაფრთხოება გაიზარდა, რაც გამოიხატა საგზაო შემთხვევების რაოდენობის თანმიმდევრულ შემცირებაში. ეს ტენდენცია 2020 წელსაც გაგრძელდა. შემთხვევების რაოდენობამ 816 შეადგინა, რაც ნაკლებია 2018 და 2019 წლების მაჩვენებლებთან შედარებით.

საბოლოო შედეგის ინდიკატორი	საზომი ერთეული	საბაზისო მაჩვენებელი (2017 წელი)	სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი	სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი	სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
			2018	2018	2019	2019	2020	2020
პოტენციური აბონენტების რაოდენობა, რომელთაც მიეცათ საშუალება ჩაერთონ გაზმომარაგების ქსელში	რაოდენობა	260,800	15,542	15,542	14,894	10,199	45,612	36,693
ახალი/რეაბილიტირებული ჰიდროელექტრო სადგურების საშუალო წლიური გამომუშავება	მგვტ. სთ	8,708	23,590	44,649	117	57	- N/A	38

2020 წელს გაზმომარაგების გაუმჯობესების შედეგად, წინა წელთან შედარებით 3-ჯერ და მეტად გაიზარდა მომხმარებელთა რაოდენობა, თუმცა ეს ზრდა არ აღემატებოდა ამავე წლის სამიზნე მაჩვენებელს, ხოლო რეაბილიტირებული ჰიდროელექტროსადგურების საშუალო წლიური გამომუშავება 2020 წელს უფრო ნაკლები იყო წინა წელთან შედარებით.

საბოლოო შედეგის ინდიკატორი	საზომი ერთეული	საბაზისო მაჩვენებელი (2017 წელი)	2018		2019		2020	
			სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი	სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი	სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
მოსახლეობის წილი, რომელთაც სასმელი წყალი უწყვეტად მიეწოდება	%	N/A	N/A	40	N/A	48	N/A	66

საქართველოს რეგიონებში წყლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებების შედეგების დადებითი ტენდენცია გაგრძელდა 2020 წელსაც და მოსახლეობის წილი რომელსაც 24 საათი სასმელი წყალი მიწოდება აქვს, გაზრდილია 66%-მდე.

მყისიერი შედეგების მაჩვენებლები

საბოლოო შედეგის ინდიკატორი	საზომი ერთეული	საბაზისო მაჩვენებელი (2017 წელი) (ათ. ლარი)	2018		2019		2020	
			სამიზნე მაჩვენებელი (ათ. ლარი)	შედეგი (ათ. ლარი)	სამიზნე მაჩვენებელი (ათ. ლარი)	შედეგი (ათ. ლარი)	სამიზნე მაჩვენებელი (ათ. ლარი)	შედეგი (ათ. ლარი)
მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების შემოსავლების გაზრდილი რაოდენობა	მლრდ აშშ დოლარი	10,230	N/A	20,332	N/A	24,037	N/A	665

2020 წელს მუზეუმებისა და ნაკრძალების ვიზიტორებიდან მიღებული შემოსავალი მკვეთრად შემცირებული იყო პანდემიის შეზღუდვების გამო.

საბოლოო შედეგის ინდიკატორი	საზომი ერთეული	საბაზისო მაჩვენებელი (2017 წელი)	2018		2019		2020	
			სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი	სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი	სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
ტურიზმისგან მიღებული უცხოური ვალუტა	მლრდ აშშ დოლარი	2.8	3.1	3.2	3.4	3.3	3,2	0,5
საერთაშორისო ტურისტების ვიზიტები	რაოდენობა	7,902,509	8,236,040	8,679,544	8,583,648	9,357,964	4,997,031	1,087,093

პანდემიის გამო დაწესებულმა შეზღუდვებმა ყველაზე მძიმე დარტყმა მიაყენა ტურიზმის სექტორს. 2020 წელს ტურისტების ნაკადების შემცირება 1 მლნ-ზე ოდნავ მეტი იყო, რაც 9 ჯერ ნაკლებია წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით და თითქმის 5 ჯერ ნაკლები ვიდრე 2020 წლის კორექტირებული სამიზნე მაჩვენებელი. შესაბამისად, ტურიზმიდან მიღებული უცხოური ვალუტის მაჩვენებელი 6 ჯერ და მეტად ნაკლები იყო სამიზნე მაჩვენებელთან შედარებით. აღნიშნულმა ნეგატიური გავლენა იქონია ამ დარგში ყველა დასაქმებულისა თუ დამსაქმებელის შემოსავლების დონეზე.

საბოლოო შედეგის ინდიკატორი	საზომი ერთეული	საბაზისო მაჩვენებელი (2017 წელი)	2018		2019		2020	
			სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი	სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი	სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
კომერციული ბანკების მიერ სოფლის მეურნეობისთვის გაცემული სესხების სიდიდე	ათასი ლარი	310,347	N/A	282,379	N/A	357,026	N/A	503,569

2020 წელს კომერციული ბანკების მიერ სოფლის მეიურნეობაზე გაცემული სესხების მოცულობამ გადააჭარბა წინა წლების მაჩვენენბლებს, ხოლო საბაზისო მაჩვენებელს აღემატებოდა 1.7 ჯერ. ეს სიდიდე ადასტურებს დარგის ხელშემწყობი პროგრამების წარმატებას რეგიონებში.

საბოლოო შედეგის ინდიკატორი	საზომი ერთეული	საბაზისო მაჩვენებელი (2017 წელი)	2018		2019		2020	
			სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი	სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი	სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
ექსპორტირებული ადგილობრივი საქონლისა და მომსახურების მოცულობა	მლნ აშშ დოლარი	N/A	N/A	2,226,238	N/A	2,324,537	N/A	2,406,910

პანდემიამ ძლიერი უარყოფითი ზეგავლენა არ იქონია ინდუსტრიულ წარმოებაზე, შედეგად არ შეფერხდა ექსპორტი. ადგილობრივი ექსპორტის მოცულობა არ შემცირებულა 2020 წელს. ყველაზე დიდ სასაქონლო ჯგუფებს წარმოადგნედა რეგიონებში მოპოვებული/წარმოებული სპილენძის მადანი, ფეროშენადნობები, ღვინოები, მინერალური და მტკნარი წყლები და თხილი. ეს ასევე ნიშნავს, რომ პანდემიის მიუხედავად, არ შემცირდებოდა რეგიონებში მცხოვრების მოსახლეობის შემოსავალი, რომელიც ამ დარგებთან არის დაკავშირებული,.

საბოლოო შედეგის ინდიკატორი	საზომი ერთეული	საბაზისო მაჩვენებელი (2017 წელი)	2018		2019		2020	
			სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი	სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი	სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
საინვესტიციო პროექტების ფარგლებში შექმნილი სამუშაო	რაოდენობა	300	700	700	700	650	500	3810

ადგილების რაოდენობა								
პროგრამის ფარგლებში მოზიდული ინვესტიციის მოცულობა	მლნ ლარი	180	120	103	160	79	10	7

2020 წელს, პროგრამის ფარგლებში მოზიდული ინვესტიციების მოცულობის კლების ტენდენცია გაგრძელდა, თუმცა სამუშაო ადგილების შექმნის კუთხით, 2020 წელს მაჩვენებელი მკვეთრად გაზრდილი იყო ძირითადად სასტუმრო სექტორში გატარებული ანტიკრიზისული ღონისძიებების შედეგად.

საბოლოო შედეგის ინდიკატორი	საზომი ერთეული	საბაზისო მაჩვენებელი (2017 წელი)	2018		2019		2020	
			სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი	სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი	სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
პროფესიულ განათლებაში ჩართული პირების რაოდენობის მზარდი მაჩვენებელი;	რაოდენობა	11,541	N/A	7,616		7699	N/A	7363
იმ პირთა დასაქმების ინდექსი, რომელთაც მიიღეს პროფესიული განათლება (თვითდასაქმების ინდექსი)	თვითდასაქმების ინდექსი	56.2% (მათ შორის 8% თვითდასაქმებული)	N/A	60% (მათ შორის 11% თვითდასაქმებული)		62% (მათ შორის 11 თვითდასაქმებული)	N/A	49% (მათ შორის 11% თვითდასაქმებული)

იმ პირთა დასაქმების ინდექსი, რომლებმაც მიიღეს პროფესიული განათლება უფრო ნაკლები იყო ვიდრე წინა წლებში. ეს პანდემიით გამოწვეულ შეზღედვებთან არის დაკავშირებული და ნეგატიურად აისახებოდა რეგიონულ დასაქმებაზე.

საბოლოო შედეგის ინდიკატორი	საზომი ერთეული	საბაზისო მაჩვენებელი (2017 წელი)	2018		2019		2020	
			სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი	სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი	სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
მცირე და საშუალო ბიზნესების და სხვა ეკონომიკური სუბიექტების/ინიციატივების	რაოდენობა	N/A	807	633	N/A	695	N/A	1059

რაოდენობა, რომლებიც სარგებლობენ ახალი და რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურით								

როგორც უკვე აღინიშნა, პანდემიის მიუხედავად, ინფრასტრუქტურეული პროექტების განხორციელება გრძელდებოდა მუნიციპალიტეტებშიც. 2020 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ათვისებულმა თანხამ 360 მლნ ლარი შეადგინა, რაც უფრო მეტი იყო 2018 და 2019 წლების მაჩვენებელთან შედარებით, როგორც აბსოლუტური მაჩვენებლით, ასევე პროცენტულად. 2018 წელს ათვისებამ 72% შეადგინა, 2019-ში - 92%, ხოლო 2020-ში 99,5% შეადგინა. გაზრდილი დაფინანსების ფონზე მცირე და საშუალო ბიზნესებისა და ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა, რომლებიც სარგებლობდნენ ახალი და რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურით, ასევე გაიზარდა წინა წლებთან შედარებით.

ნაწილი III: ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები

საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სფეროში ისევე, როგორც წინა წლებში, კვლავ აქტუალურად რჩება მოძველებული „სამშენებლო ნორმების და წესების" განახლების საკითხი. საქართველოში მოქმედი, მრავალსახოვანი ინსტრუქციები და დამატებები მოძველდა და საჭიროა მათი განახლება, მაგრამ საზღვარგარეთის განვითარებული ქვეყნების ნორმატიულ ტექნიკური ბაზის პირდაპირი გადმოტანა და გამოყენება არაა მიზანშეწონილი. საჭიროა მომავალში მოხდეს ძველი და თანამედროვე სტანდარტების ერთობლივი ჰარმონიზაცია, რათა შესაძლებელი გახდეს თანამედროვე მსოფლიოში აღიარებულ სტანდარტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან დაახლოვება. აღნიშნული მოთხოვნა გამომდინარეობს მათ შორის დონორი ორგანიზაციების მხრიდან.

ქუთაისის აეროპორტის ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარებისთვის საჭიროა, რომ კომერციულ ბანკებთან გაგრძელდეს მოლაპარაკებები პროექტის დასასრულებლად საჭიროა დამატებითი სახსრების მოძიების მიზნით.

საავტომობილო გზების გარდა, სხვა სტრატეგიული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარებისთვის, კერძოდ ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ლოგისტიკასთან დაკავშირებული საქმიანობის კლასტერიზაციისა და ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით, საჭიროა საინიციატივო პაკეტის შემუშავება.

მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსებზე წვდომის უზრუნველყოფისათვის უპრიანი იქნება პროექტების დაფინანსების „ჭერის" (მაქსიმალირი თანხის) გაზრდა და ამასთან ერთად, ხარისხის მოთხოვნების სტანდარტების ამაღლება.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობის მიმართულებით საჭიროა საინვესტიციო პროექტების წახალისება და მათი განხორცილების ხელშეწყობისთვის რეგიონებში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. აღნიშნული მოიაზრებს გზების გარემონტებას, კომუნიკაციების მიყვანას პოტენციური საწარმოს ადგილამდე (გაზი, დენი, წყალი), ამას გარდა, სერვისების მიმწოდებელი კომპანიების შემთხვევაში უმნიშვნელოვანესია სწრაფი ინტერნეტისა და საოფისე ფართების არსებობა. მსგავსი ინფრასტრუქტურის არარსებობა/სიმწირე სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს რეგიონებში ინვესტიციების მოზიდვისთვის.

წყალმომარაგებისა და წყალარინების პროექტების განხორციელების მიზნით, მნიშვნელოვანია შრომის ბაზარზე არსებული კვალიფიციური კადრების მოზიდვა და დამატებით ახალი საკადრო ბაზის შექმნა, ამ მიმართულების სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავება/განახლება.

მყარი ნარჩენების მართვის სისტემის გასაუმჯობესებლად უნდა მოხდეს არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელის მონიტორინგის პროცედურების დანერგვა (კანონმდებლობის საფუძველზე) და მონიტორინგის ლაბორატორიის შექმნა. ეს ხელს

შეუწყობს კომპანიის სტრატეგიით გათვალიწინებული პრიორიტეტების შესრულებას, საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებისა და საერთაშორისო დონორებთან დადებული ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მუზეუმის მენეჯმენტის გაუმჯობესების მიზნით, საჭიროა მუზეუმების რეგულარული მონიტორინგი, მუზეუმების თანამშრომელთა გადამზადება და მუზეუმების ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზების მოწესრიგება.

საჯარო სკოლების რეაბილიტაციისთვის საჭიროა სამშენებლო სამუშაოების ვადებისა და ფინანსური გრაფიკის მაღალი ხარისხით დაგეგმარება, მომზადება და მუდმივი მონიტორინგი.

უმაღლესი განათლების ხელშეწყობისთვის საჭიროა რეგიონალურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში „ევროსტუდენტის ეროვნული პროექტი"-ს პოპულარიზაცია და კვლევის შედეგების გავრცელება.

ეროვნული უმცირესობების პროფესიული გადამზადების გაუმჯობესებისთვის სასურველია, ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელთათვის, სასწავლო პროცესის პარალელურად, განხორციელდეს ინტეგრირების ხელშემწყობი სხვადასხვა აქტივობები (ექსკურსიები, გასვლითი გაკვეთილები და სხვა).

სამეცნიერო გრანტების გაცემისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის მიზნით საჭიროა შესაბამისი ღონისძიებების მართვის, განხორციელებისა და პროგრამირების გაუმჯობესებისათვის მონიტორინგის სისტემის განვითარება.

მიზანშეწონილია შენარჩუნდეს და გაიზარდოს „სოციალური რეაბილიტაციისა და **ბავშვზე ზრუნვის** სახელმწიფო პროგრამა" -ის დაფინანსების მოცულობა.

მაღალმთიანი რეგიონების განვითარების ხელშეწყობის მიზნით და გრძელვადიანი შედეგების მისაღწევად, აუცილებელია შენარჩუნდეს შეღავათების დროულად გაცემის მაჩვენებელი და გაგრძელდეს მუშაობა, რათა დაიხვეწოს კოორდინაციისა და ადმინისტრირების პროცესი.

ბუნებრივი კატასტროფებისგან დამცავი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის საჭიროა დაფინანსების შემდგომი გაზრდა და კვალიფიციური კადრების მოზიდვა.